ახალი განათლება

15 - 21 ივნისი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№22 (776) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



ეროვნული სასწავლო გეგმა

სამოქალაქო ცნობიერებისა და უნარების დემონსტრირება

⇨ ამ საგანს "სამოქალაქო განათლება", აღბათ, ალაჰ ეიქმევა. გვსურს, რომ მას ენოდოს "მოქალაქეობა". ახალგაზრდებს მოქალაქეობას ვასწავლით და გვინდა, ეს სახელწოდებაშიც აისახოს, ანუ რასაც ვასწავლით, ის ეიქვას საგანს.

⇨ შეფასების სისტემაში ისეთი სახის აქტივობები და პროექტებია მოცემული, რომლებიც ცხოვრებაში გამოადგება ადამიანს. ასეთი დავალებები უნდა მიეცეს მოსწავლეს და ამ დავალებებითვე უნდა შეფასდეს. ამ საგანში ჯატგორიული წინაალმდეგი ვარ ტესტის, განსაკუთრებით დახურულ ტესტებს ვგულისხმობ, როგორც შეფასების ფორმისა.



გვერდი 4

უსახელო ფრთამოტეხილი ანგელოზების სამყაროში

გვერდი 6



ნიგნის თარო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

დამხმარე სახელმძღვანელო ყველა საგნის მასწავლებლისთვის

პროფესიული უნარების სახელმძღვანელო

დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

ფასი – 15 ლარი მიმდინარეობს ხელმოწერა

აუდიტის დასკვნა

რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კადრების მართვის ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად

⇨ სკოლებში დასაქმებული მასწავლებლების თითქმის ნახევარი საპენსიო ასაკსაა მიღწეული ან ამ ასაკს გადაცილებული. 60 წლისა და უფროსი ასაკის მასწავლებლების წილი (20%) ევროპის საშუალო მაჩვენებლზე (6%) საგრძნობლად მაღალია.

⇨ საქართველო ასევე გამოირჩევა ახალგაზრდა მასწავლებლების დაბალი მაჩვენებლით. 30 წლამდე ასაკის მასწავლებლების წილი 7%-ია, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის საშუალო მაჩვენებელს – 12%-ს.

⇨ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დასაქმებული 67 000 მასწავლებლიდან 2 000-ს, რომლებიც ასწავლიან ძირითად საგნებს, არ აქვს მიღებული უმაღლესი განათლება-აკადემიური ხარისხი და მიღებული აქვს მხოლოდ სრული ზოგადი (საშუალო სკოლა) ან პროფესიული განათლება.

⇨ იმ 2 000 მასწავლებლიდან, რომელსაც არ აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, საგნის გამოცდა ჩაბარებული აქვს მხოლოდ 4%-ს.

⇨ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ახალი კადრების შემოინება საკმაოდ დაბალია (7%), ხოლო საპენსიო ასაკის მასწავლებლების რაოდენობა – საგრძნობლად მაღალი (20%).



გვერდი 2 ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

აუდიტის დასკვნა

რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კადრების მართვის ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა 2016 წლის ანგარიში „ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კადრების მართვა“, რომელიც აფასებდა განათლების სისტემაში საჭირო რაოდენობისა და კვალიფიკაციის კადრების არსებობის მიზნით განხორციელებული პროგრამების/ღონისძიებების პროდუქტიულობას და ადამიანური რესურსების მართვის მიზნით გატარებული ღონისძიებების ეფექტურობას:

• რამდენად შეესაბამება მასწავლებელთა კვალიფიკაცია დადგენილ სტანდარტებს?

• რამდენად უზრუნველყოფს არსებული პროცედურები ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კვალიფიციური კადრების მოზიდვას?

• რამდენად უზრუნველყოფს გატარებული ღონისძიებები კადრის დეფიციტის შემცირებას საქართველოს რეგიონებში?

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოიკითხა 134 ადამიანი: 34 – მასწავლებლობის მსურველი პირი, რომლებსაც ჩაბარებული ჰქონდათ საგნის გამოცდა და 100 – მოქმედი მასწავლებელი. გამოკითხვამ აჩვენა, რომ დღესდღეობით, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ისევ რჩება კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, რაც გამოიხატება სერტიფიცირებული მასწავლებლების სიმცირესა და ახალი კადრების მოზიდვის ნაკლოვანებაში. სკოლებში დასაქმებული მასწავლებლების თითქმის ნახევარი საპენსიო ასაკსაა მიღწეული ან ამ ასაკს გადაცილებული. 60 წლისა და უფროსი ასაკის მასწავლებლების წილი (20%) ევროპის საშუალო მაჩვენებელზე (6%) საგრძნობლად მაღალია. საქართველო ასევე გამოირჩევა ახალგაზრდა მასწავლებლების დაბალი მაჩვენებლით. 30 წლამდე ასაკის მასწავლებლების წილი 7%-ია, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის საშუალო მაჩვენებელს – 12%-ს. აღნიშნული მიუთითებს იმ რისკზე, რომ უახლოეს რამდენიმე წელიწადში განათლების სისტემა ზოგადსაგანმანათლებლო კადრების ნაკლებობის წინაშე დადგება.

აუდიტის დასკვნის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს „აუდიტის მიგნებებს“, რომელთა შორის საზოგადოებისთვის ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა „კადრების კვალიფიკაციის ნაკლოვანებები“. წარმოდგენილი მონაცემები სწრაფად გავრცელდა პრესის, ტელევიზიის და უფრო აქტიურად – სოციალური მედიის საშუალებით.

კადრების კვალიფიკაციის ნაკლოვანებები

საქართველოს მთავრობის დადგენილებით და კანონმდებლობით, 2015 წლიდან, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლობის მსურველი პირები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგი მოთხოვნებიდან, მინიმუმ, ერთ-ერთს:

• უნდა ჰქონდეთ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

• უნდა ჰქონდეთ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ან განათლების მიმართულების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

• გავლილი უნდა ჰქონდეთ მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა და ჩაბარებული ჰქონდეთ საგნის გამოცდა.

როგორც ამ ჩამონათვალიდან ჩანს, კვალიფიკაციის განმსაზღვრელ ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს აკადემიური ხარისხი, რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესის მაღალი ხარისხით წარმართვას.

აუდიტის მიგნებებს შორის ყველაზე მოულოდნელი, ალბათ, ეს ჩანაწერია: *„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დასაქმებული 67 000 მასწავლებლიდან 2 000-ს, რომლებიც ასწავლიან ძირითად საგნებს, არ აქვს მიღებული უმაღლესი განათლება-აკადემიური ხარისხი და მიღებული აქვს მხოლოდ სრული ზოგადი (საშუალო სკოლა) ან პროფესიული განათლება.“*

აკადემიური ხარისხის არმქონე მასწავლებლების რაოდენობა საგნების მიხედვით



აკადემიური ხარისხის არმქონე მასწავლებლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



წლების განმავლობაში, განათლების სისტემაში არასათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების შედინება ხდებოდა. იმ 2 000 მასწავლებლიდან, რომელსაც არ აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, საგნის გამოცდა ჩაბარებული აქვს მხოლოდ 4%-ს. აკადემიური ხარისხის არსებობის გარდა, მასწავლებელთა კვალიფიკაციის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმს სწორედ საგნის გამოცდები წარმოადგენს, რისი მიზანიც პროფესიულ სტანდარტთან მასწავლებლის ცოდნის შესაბამისობის დადგენაა. ქვეყანაში სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა საკმაოდ დაბალია. მთლიანი დასაქმებული კონტინგენტიდან, საჯარო სკოლებში, სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა, დაახლოებით, 26%-ს, ხოლო კერძო სკოლებში – 29%-ს შეადგენს.

რეგიონების მიხედვით, სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა განსხვავებულია, პროცენტულად ყველაზე დიდი წილი თბილისზე მოდის. რაც შეეხება საგნების მიხედვით სურათს, ქართულ ენასა და მათემატიკაში შედარებით მეტი მასწავლებელია სერტიფიცირებული, ხოლო ქიმიაში, ფიზიკასა და გეოგრაფიაში – ყველაზე ნაკლები.

სისტემაში ახალი კადრის შესვლის პროცესის ნაკლოვანებები

აუდიტის ანგარიშის მიხედვით, განათლების სისტემაში ახალი კადრის აყვანაც პრობლემას წარმოადგენს. კადრის მიღების არსებული მექანიზმები ვერ ფარავს იმ რისკს, რომ ისევ არაკვალიფიციური კადრები მოხვდებიან სისტემაში. კვალიფიკაციის ნაკლოვანებები სხვადასხვა მიზეზს უკავშირდება. წლების განმავლობაში, მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლების თანმიმდევრული პოლიტიკის არქონამ და არასაკმარისმა რესურსმა, ვერ უზრუნველყო მასწავლებლების პროფესიული ზრდა.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ახალი კადრების შედინება საკმაოდ დაბალია (7%), ხოლო საპენსიო ასაკის მასწავლებლების რაოდენობა – საგრძნობლად მაღალი (20%). ახალი კადრების შედინების დაბალი მაჩვენებელი, ერთი მხრივ, უკავშირდება მასწავლებლის პროფესიის არაპოპულარობას და დაბალი ანაზღაურების ფაქტორს, თუმცა ეს ერთადერთი მიზეზი არ არის.

ანგარიშში წერია, რომ *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული „ცენტრის მიერ შემუშავებული სქემის მიხედვით, 2020 წლამდე, ყველა მოქმედ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ჩაბარებული საგნის გამოცდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასწავლებელს შეუჩერდება შრომითი ხელშეკრულება. გამოცდების ორგანიზება მიმდინარეობს 2010 წლიდან, სერტიფიცირებული კი მასწავლებელთა მხოლოდ 26%-ია. ბოლო წლების ტენდენციის გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მასწავლებლების უმრავლესობამ შეძლოს გამოცდის ჩაბარება. მოცემული ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში, სისტემა დადგება კადრების მნიშვნელოვანი დეფიციტის წინაშე.“*

თბილისში, სადაც არ არის კადრის დეფიციტი, არის შემთხვევები (მასწავლებლების 16%), როდესაც ერთი და იგივე მასწავლებელი ასწავლის სხვადასხვა არამომიჯნავე საგანს.

ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში, ვაკანსიის შინაარსის ფორმირება, მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების კონტროლი და კადრის შერჩევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პრეროგატივაა. ცენტრის მიერ არ ხდება ვაკანსიის შინაარსისა და მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების მონიტორინგი, მისი ფუნქციაა მხოლოდ ინტერნეტგვერდის ტექნიკური მხარდაჭერა. სისტემაში კადრის შესვლის პროცესი ორ ეტაპს მოიცას: I ეტაპი – ვაკანსიის გამოცხადება, II ეტაპი – კადრების შერჩევა. გთავაზობთ თითოეულ ეტაპზე არსებული პრობლემების მოკლე მიმოხილვას.

ვაკანსიის შინაარსის ნაკლოვანებები

I. საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრაში არსებული პრობლემები

გამოვლინდა, რომ ერთი და იმავე საგნის მასწავლებელს, სხვადასხვა სკოლაში, განსაზღვრული აქვს განსხვავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აუდიტის ჯგუფმა, შერჩევით, გააანალიზა სკოლების მიერ, 2015 წელს, გამოქვეყნებული 910 ვაკანსია 10 საგანში, საქართველოს მასშტაბით. გამოქვეყნებული ვაკანსიების, დაახლოებით, 12%-ში (107 ვაკანსია), არც ერთ შემთხვევაში, არ არის მითითებული აუცილებელი ან/და სასურველი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც ბუნდოვანს და ნაკლებად ტრანსფარენტულს ხდის კადრის აყვანის პროცესს. რაც შეეხება დანარჩენ ვაკანსიებს, ერთი და იმავე საგნის მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ერთმანეთისგან, სკოლების მიხედვით, განსხვავდება. ნათელია, რომ არ არსებობს ერთიანი მიდგომა, რის მიხედვითაც უნდა ხდებოდეს ვაკანსიების ფორმირება.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი კანონის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა სისტემაში აკადემიური ხარისხის მქონე მასწავლებლების მოხვედრა, 2015 წელს გამოცხადებულ ვაკანსიებში მაინც გვხვდება შემთხვევები, როდესაც საკვალიფიკაციო მოთხოვნები საშუალო ან პროფესიულ განათლებას ითვალისწინებს. აღნიშნული ნაკლოვანება ზრდის რისკს, რომ სისტემაში კვლავ მოხვდებიან აკადემიური ხარისხის არმქონე პირები, რაც, გრძელვადიან პერიოდში, უარყოფით გავლენას მოახდენს სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვაზე.

II. ვაკანსიებში მითითებული ანაზღაურების ოდენობის პრობლემა

მასწავლებლების შრომის ანაზღაურება რეგულირდება მინისტრის ბრძანებით, რომლის თანახმადაც, მასწავლებლის მინიმალური ხელფასი, სრული დატვირთვის შემთხვევაში, უნდა შეადგენდეს 385 ლარს, ხოლო საბაზო ხელფასი – 405 ლარს. მასწავლებლის აკადემიური ხარისხის, სამუშაო დატვირთვის, იერარქიული საფეხურისა და სამუშაო გამოცდილების მიხედვით, ანაზღაურების ოდენობა ცვალებადია. მაგალითად: ნაკლები სამუშაო დატვირთვისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის არარსებობისას ანაზღაურება მცირდება, ხოლო საპირისპირო შემთხვევების დროს (აკადემიური ხარისხის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა, გაზრდილი სამუშაო საათები და ა.შ.) – მატულობს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ, 2015 წელს, გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზიდან იკვეთება, რომ შეთავაზებული საათობრივი ანაზღაურება სხვადასხვა სკოლაში, ერთი და იმავე საგნის მასწავლებლისთვის, განსხვავებულია და მერყეობის დიაპაზონი მაღალია.

მაგალითისთვის განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა:

• თბილისის 2 სხვადასხვა სკოლაში, 18-საათიანი სამუშაო დატვირთვის შემთხვევაში, ბიოლოგიის მასწავლებელს, პირველ შემთხვევაში, სთავაზობენ 100 ლარს, ხოლო მეორე შემთხვევაში – 450 ლარს. აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ორივე შემთხვევაში მსგავსია;

• უმაღლესი განათლების მქონე სერტიფიცირებულ მათემატიკის მასწავლებელს, 10-საათიანი სამუშაო დატვირთვის შემთხვევაში, ორი სხვადასხვა სკოლა, ერთ შემთხვევაში სთავაზობს 150 ლარს, ხოლო მეორე შემთხვევაში – 250 ლარს;

• თბილისისა და აჭარის სკოლებში ფიზიკის მასწავლებლის ანაზღაურება, ვაკანსიის მიხედვით, მსგავსი საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირობებში, 9-საათიანი სამუშაო დატვირთვისას, განსხვავებულია და თბილისის სკოლის შემთხვევაში შეადგენს 150 ლარს, ხოლო აჭარაში – 250 ლარს;

• დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, 40-საათიანი სამუშაო დატვირთვის პირობებში, ბაკალავრის აკადემიური ხარისხით, სამუშაო გამოცდილებითა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნის მოთხოვნით, კახეთის ერთ-ერთ სკოლაში სთავაზობენ ანაზღაურებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო თბილისის ერთ-ერთ სკოლაში – 450 ლარის ოდენობით.

მოცემული შემთხვევებიდან ჩანს, რომ ვაკანსიებში მითითებული საათობრივი ანაზღაურება, იდენტური სამუშაო დატვირთვის, აკადემიური ხარისხისა და გამოცდილების შემთხვევაშიც კი, განსხვავებულია. ამასთანავე, გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მასწავლებლებს სთავაზობენ დადგენილ მინიმუმზე ნაკლებ ანაზღაურებას, სრული სამუშაო დატვირთვისა და შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირობებში, რაც ეწინააღმდეგება ბრძანებით გათვალისწინებულ სტანდარტს.

კადრის შერჩევის პროცესის ნაკლოვანებები

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებლის სამსახურში მიღება სკოლის ადმინისტრაციის პრეროგატივაა, სამინისტრო და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი კადრის შერჩევის პროცესში არ მონაწილეობენ.

აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა დაკვირვება, კერძოდ: საქართველოს მასშტაბით, 20 სკოლაში, მოცემული პერიოდისთვის არსებულ ვაკანსიებზე, გაგზავნილი იყო სპეციალურად შექმნილი რეზიუმე, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა, და უმეტეს შემთხვევაში, აჭარბებდა საკვალიფიკაციო მოთხოვნით დადგენილ პირობებს. რამდენიმე შემთხვევაში, წარდგენილ კანდიდატს განათლება და სამუშაო გამოცდილება მიღებული ჰქონდა ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებსა და ორგანიზაციებში. გაგზავნილი 20 ვაკანსიიდან, კანდიდატის რეზიუმეთი 10 სკოლა დაინტერესდა და შესთავაზეს ინტერვიუ. ორ შემთხვევაში, კანდიდატს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეატყობინეს უარი, მიზეზად მითითებული იყო არასაკმარისი კვალიფიკაცია, დანარჩენ 8 შემთხვევაში, გამოხმაურება არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე შემთხვევაში ვაკანსიის მიღების ბოლო ვადას და სამუშაოს დაწყების თარიღს შორის არ იყო გათვალისწინებული აუცილებელი შუალედი – ოპტიმალური დღეების რაოდენობა. რიგ შემთხვევებში, თუ კანდიდატი ბოლო დღეს წარადგენდა რეზიუმეს, განაცხადის განსახილველად არც ერთი დღე არ რჩებოდა.

სკოლებში წარდგენილი რეზიუმეს მაღალი კვალიფიკაციის გამო, იყო მოლოდინი, რომ სკოლები დაინტერესდებოდნენ და, სულ მცირე, კანდიდატს ინტერვიუზე მისვლას შესთავაზებდნენ, რაც არ დადასტურდა. გამოცხადებულ ვაკანსიებზე დასაქმებული კადრების რეზიუმეების ანალიზიდან ჩანს, რომ შეთავაზებულ კანდიდატურას უფრო მაღალი კვალიფიკაცია ჰქონდა, ვიდრე მათ, ვინც აღნიშნულ სკოლებში რეალურად დასაქმდა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ბაზაში დაფიქსირებულია 1 805 მასწავლებლობის მსურველი (ჩაბარებული აქვთ საგნის გამოცდა). აუდიტის ჯგუფმა გამოჰკითხა მასწავლებლობის მსურველი 34 პირი, ვისაც წარმატებით ჰქონდა ჩაბარებული საგნის გამოცდა, მოპოვებული ჰქონდა აკადემიური ხარისხი და, მოცემული ეტაპისთვის, არ იყო დასაქმებული სკოლაში. გამოკითხული 34 პირიდან 18, ამ ეტაპზე, დასაქმებული აღმოჩნდა სხვადას-

აუდიტის დასკვნა

ხვა პროფესიით, ხოლო 16 კვლავ დაუსაქმებელია. 16 უმუშევარი პირიდან 13-მა გააგზავნა რეზიუმე როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებში. სკოლები კანდიდატით დაინტერესდნენ 6 შემთხვევაში, ხოლო 7 შემთხვევაში – პასუხი არ მიუღიათ. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხული 34 პირიდან 11 ისურვებდა მუშაობის დაწყებას, თბილისის გარდა, სხვადასხვა რეგიონის სკოლებში.

დაკვირვების შედეგები გვიჩვენებს, რომ მასწავლებლად დასაქმების პროცესი არასაკმარისად გამჭვირვალეა და სისტემაში მოხვედრა მაღალკვალიფიციური კადრებისთვისაც კი სირთულეს წარმოადგენს. აღნიშნული პროცესი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება, ხოლო სამინისტროს ახალი კადრის მოზიდვის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, არ აქვს შემუშავებული საკმარისი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სკოლების მიერ ვაკანსიის ფორმირებისა და კადრის შერჩევის პროცესში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კვალიფიციური კადრის მოსაზიდად მნიშვნელოვანია, არსებული პროცედურები და მექანიზმები იყოს გამჭვირვალე და მოქნილი. სკოლების მიერ გამოცხადებული ვაკანსიის შინაარსობრივი პრობლემები, რომელიც საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ანაზღაურების განსაზღვრას უკავშირდება, ამასთანავე, კადრის შერჩევის პროცესის არასაკმარისი გამჭვირვალობა ზრდის სისტემაში დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრების შესვლის რისკს, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების ხარისხზე.

კადრების დეფიციტის მართვის ხარვეზები რეგიონებში

ქვეყნის მასშტაბით, რეგიონის სკოლებში, მოსწავლეები, ერთ ან რამდენიმე ძირითად საგანში, ვერ იღებენ სრულფასოვან განათლებას მასწავლებლის არარსებობის გამო. მრავლადაა შემთხვევა, როდესაც არამომიჯნავე საგანს ერთი და იგივე მასწავლებელი ასწავლის, რომელსაც კვალიფიკაცია მხოლოდ ერთ საგანში აქვს დადასტურებული. სამწუხაროდ, ასეთ პრობლემას ვხვდებით თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებშიც, სადაც კადრის დეფიციტი არ არსებობს, თუმცა, პრობლემაა სისტემაში ახალი კადრების შედინებისა და დასაქმების კუთხით.

რეკომენდაციები სისტემაში ახალი კადრის შესვლის პროცესის ნაკლოვანებები

• **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:** იმ მიზნით, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მოხვდნენ კვალიფიციური კადრები და გაიზარდოს გამოცხადებულ ვაკანსიაზე კონკურენცია, სამინისტრომ შეიმუშაოს შესაბამისი მექანიზმი/მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს, ვაკანსიის განთავსების ეტაპზე, სკოლების მიერ სათანადო საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ანაზღაურების წესის მითითებას.

• **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:** იმ მიზნით, რომ საჯარო სკოლებში კადრის მიღების პროცესი იყოს გამჭვირვალე და სამართლიანი, სამინისტრომ შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა და მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს საჯარო სკოლების მიერ ყველა დაინტერესებული კანდიდატის რეზიუმეს განხილვას და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას.

კადრების დეფიციტის მართვის ხარვეზები რეგიონებში

• **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს:** იმისათვის, რომ მოსწავლეები არ დარჩნენ კანონმდებლობით გათვალისწინებული სრულფასოვანი განათლების გარეშე, ეტაპობრივად (წინასწარ განსაზღვრული გეგმით) მოხდეს იმ სკოლების შესაბამისი მასწავლებლებით უზრუნველყოფა, სადაც არ ისწავლება ძირითადი საგნები.

• **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს:** რეგიონებში დეფიციტის შემცირების მიზნით, მოხდეს ისეთი მექანიზმების შემუშავება, როგორიცაა: მასწავლებლების გადამზადება მომიჯნავე საგნებში, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს კვალიფიციურად ასწავლონ დეფიციტური საგანი; მასწავლებლობის მსურველ პირებთან აქტიური კომუნიკაცია, სკოლებში ვაკანსიების არსებობისას, რაც გაზრდის სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების სისტემაში მოხვედრის შესაძლებლობას.

მოამზადა
ლალი თვალაბეიშვილმა

რეგიონი

პროფესიული ზრდის საუკეთესო საშუალება

ვინც მესტიის სამთო-სათხილამურო კურორტს სწვევია, გზის მეშვიდე კილომეტრზე, აუცილებლად მიიქცევდა ყურადღებას ტრაფარეტი წარწერით „ელი“ (სწორი ვერსიაა – იელი). დიახ, აქედან 7 კილომეტრში, საკმაოდ რთული სამანქანო გზით მოხვდებით ძალიან ლამაზ სოფელში, რომელიც, როგორც მთელი სვანეთი, სტუმართმოყვარე ხალხითაა დასახლებული. ასე რომ არ იყოს, აქ წლობით ვერ იცხოვრებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მასწავლებლები, რომლებიც 8 წელია, „პროექტ ასწავლე საქართველოსთვის პროგრამით, არიან მოვლინებული. მათი დამსახურებაა, რომ რაიონის ერთ-ერთი მცირეკონტინგენტიანი სკოლა (12 მოსწავლე, დირექტორი – **ლეილა ხვიბლიანი**) წარმატებულ სკოლათა რიცხვშია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი მრავალი წამოწყების და საინტერესო პროექტების პიონერები არიან, მათი გამოცდილება სხვა სკოლებმაც გაითავისეს. ასეთია პროექტი „ინტელექტი“, ჭადრაკის და მათემატიკის ყოველწლიური ტურნირები მესტიაში, რომლის ავტორიც **მამა არჩილ ბურჯანაძეა**. 7 წელია, რაც იელიში ასწავლის მათემატიკას. თავდაპირველად ერისკაცი იყო, ორი წელია, რაც მღვდლად ეკურთხა. მოწვეული პედაგოგების დამსახურება იყო ისიც, შარშანწინ რომ იელელი მოსწავლეები რამდენიმედღიანი ვიზიტით დედაქალაქს სტუმრობდნენ.

კონფერენცია, რომელიც იელის საჯარო სკოლის ინიციატივით და მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა, ერთ-ერთი მონაწილის, ფარის საჯარო სკოლის პედაგოგის, **ეკატერინე წულუკიძის** თქმით, მისი თექვსმეტწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე, მესტიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის, პირველია. კონფერენციის „განვავითაროთ ერთმანეთი“ მიზანი იყო პედაგოგთა შორის კოლაბორაცია სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვის, საგანმანათლებლო სფეროში აქტუალური თემების გაცნობა.

ანა აბესაძე	მესტია, იფარის საჯარო სკოლა/პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“	„როგორ აღვზარდოთ სამოქალაქო აზროვნების მქონე მოსწავლე“
დავჯი თოდუა	მესტია, წვირმის საჯარო სკოლა/პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“	„ბლოგი, როგორც რესურსის განთავსების გზა – როგორ შევქმნათ ბლოგი“
ეკა წულუკიძე	მესტია, ფარის საჯარო სკოლა	„etwinning ციფრული წიგნიერებისა და უნარების განვითარების შესაძლებლობა“
თაკო ზედაშიძე	მესტია, უშგულის საჯარო სკოლა/პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“	„თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება უცხო ენის სწავლა-სწავლების პროცესში“
ნინო ჭიჭინაძე	მესტია, იელის საჯარო სკოლა/პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“	„ინკლუზიური განათლება-სსსმ ბავშვის სწავლებისას მასწავლებლის მიერ, დამხმარე საშუალებების გამოყენება და მოდიფიცირება“
ქეთევან ჟორჟოლიანი	ჩოხატაური, სოფელ ზოტის საჯარო სკოლა/პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“	„როგორ ვაწარმოოთ პრაქტიკის კვლევა“

პედაგოგებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება, შეხედულებები. მოიყვანეს პრაქტიკიდან საუკეთესო მაგალითები, უპასუხეს დამსწრე პედაგოგთა კითხვებს, მიაწოდეს რჩევები. ამ დღემ აჩვენა, რომ მსგავსი შეხვედრები ნამდვილად გვჭირდება ადგილობრივ პედაგოგებს პროფესიული ზრდა-განვითარებისთვის.

„ვფიქრობ, ასეთი ტიპის შეხვედრები საუკეთესო საშუალებაა პროფესიული ზრდისა და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის. ვისურვებდი, მომავალში, ადგილობრივი პედაგოგები უფრო აქტიურად ჩაერთონ მსგავს ღონისძიებებში. “ – აღნიშნა ეკატერინე წულუკიძემ.

რაც შეეხება კონფერენციის „დედას“, **ნინო ჭიჭინაძეს**, 28 წლისაა. 18 წლისამ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ახლანდელ ილიაუნში) ხელოვნების და მეცნიერების ფაკულტეტზე ჩააბარა. უნივერსიტეტის წარმატებით დასრულების შემდეგ, როგორც ყველა უმაღლესდამთავრებულს, სურდა ემუშავა და საკუთარი თავის რეალიზება მოეხდინა. ამიტომ ჩაერთო პროექტში „ასწავლე საქართველოსთვის“, რომელმაც საშუალება მისცა, გამხდარიყო მოქმედი პედაგოგი. იელის საჯარო სკოლაში პირველი და მეორე კლასი ჩააბარეს. როგორც ამბობს, დიდ პასუხისმგებლობას, რაც პირველ ნაბიჯებს და კონსულტანტ-მასწავლებლობას ახლდა, თბილი, კოლეგიალური, სიახლეებისმოყვარე თანამშრომლების გვერდით ყოფნა უადვილებდა. 3 წლის შემდეგ, გადაწყვიტა სწავლა მაგისტრატურაში გაეგრძელებინა. კვლავ წარმატებით დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების და მეცნიერების ფაკულტეტი, გახდა განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრი. მაგისტრატურაში სწავლის პარალელურად, თბილისის №99 საჯარო სკოლაში, შემდგომ კი – სერვანტესის სახელობის სკოლა გიმნაზიაში „აია-ჯესს“ მუშაობდა, მაგრამ რაჭაში გაზრდილ გოგონას გული სვანეთის მთებისკენ მოუწევდა და 2016 წელს, სამწლიანი პაუზის შემდეგ, კვლავ პროგრამით „ასწავლე საქართველოსთვის“, ახალი იდეებით და ინიციატივებით, ისევ იელის სკოლაში დაბრუნდა. სამომავლო გეგმებზე ჯერ არაფერს ამბობს, ფიქრობს, რომ აქ არის საჭირო და ვერ უღალატებთ, რადგან იქ, „სადაც ზღაპრული და იდუმალია ყველაფერი“, უყვარს ფიქრი ყველაფერზე: პროფესიულ წინსვლაზე, თვითშეფასების კითხვარზე, სამოქმედო გეგმაზე, დაგეგმილ ღონისძიებებზე, რესურსებზე, ლიტერატურაზე, ბავშვებზე, ოჯახზე...

ნინო ჭიჭინაძის უკეთ გასაცნობად შეგიძლიათ ესტუმროთ მის სოციალურ გვერდს:

https://www.facebook.com/nino.chichinadze.505 ან
http://www.shin.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1200%3Asopeli-tsastan-akhlos-da-12-bavshviani-skolis-mastsavlebeli&catid=51&Itemid=195

ლალი მარგიანი
ლახამულის საჯარო სკოლა

ეროვნული სასწავლო გეგმა

სამოქალაქო ცნობიერებისა და უნარების დემონსტრირება

ვაგრძელებთ საუბარს ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე. ჩვენი სტუმარია ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის სამოქალაქო განათლების ექსპერტი **შალვა მეკრავიშვილი.** *დღეს საბაზო საფეხურზე სამოქალაქო განათლების სწავლების ახალ სტანდარტს მიმოვიხილავთ, მის ძირითად სიახლეებსა და ცვლილებებს, ასევე მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს.*

– რა ცვლილება შეეხო სამოქალაქო განათლების სწავლებას?

– სამოქალაქო განათლების სწავლება არსებული სასწავლო გეგმის მიხედვით გრძელდება, სანამ არ დაიწყება ახალი სასწავლო გეგმის დანერგვა. ძველი სასწავლო გეგმა სამოქალაქო განათლების, როგორც სავალდებულო საგნის სწავლებას, IX-X კლასებში ითვალისწინებს. გარდა ამისა, არსებობს არჩევითი საგნებიც („ეკონომიკა და სახელმწიფო“, „სახელმწიფო და სამართალი“ და სხვ.), რომელიც განკუთვნილია X-XII კლასელებისთვის, ანუ საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. ამ საგნების სწავლება სკოლის შესაძლებლობებსა და მათ არჩევანზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, ამ არჩევითი საგნების სახელმძღვანელოები არ არსებობს, რაც ართულებს მათ არჩევას.

ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით კი, სამოქალაქო განათლება დაიწყება საბაზო საფეხურის პირველივე კლასიდან – VII კლასიდან და გაგრძელდება VIII-IX კლასებში. რა თქმა უნდა, სამოქალაქო განათლება საშუალო საფეხურზეც გაგრძელდება, თუმცა ამაზე მუშაობა ჯერ არ დაგვიწყია, ამიტომ დღეს ვისაუბროთ მხოლოდ საბაზო საფეხურის სამოქალაქო განათლებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საგანს „სამოქალაქო განათლება“, ალბათ, აღარ ერქმევა. გვსურს, რომ მას ეწოდოს „მოქალაქეობა“. ახალგაზრდებს მოქალაქეობას ვასწავლით და გვინდა, ეს სახელწოდებაშიც აისახოს, ანუ რასაც ვასწავლით, ის ერქვას საგანს.

– სასწავლო გეგმის ცვლილება სტანდარტზეც აისახება?

– რასაკვირველია, ცვლილება შეეხება საგნის სტანდარტსაც – სასწავლო გეგმის მთავარ ნაწილს. ძველი სასწავლო გეგმით, სტანდარტში მოცემული იყო მისაღწევი შედეგები, ამ შედეგების განმსაზღვრელი ინდიკატორები და გარკვეული შინაარსობრივი საკითხების ჩამონათვალი. ახალ სასწავლო გეგმაში ეს ყველაფერი სხვაგვარადაა წარმოდგენილი: სწავლის შედეგები, სტანდარტის ეს უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, ძირეულად გადამუშავდა. შეიცვალა თავად სწავლის შედეგის არსიც. აქამდე, IX და X კლასებში გვქონდა ყოველი წლის განმავლობაში მისაღწევი შედეგები. ჩვენ გადავედით საფეხურეობრივ შედეგებზე, ანუ მეშვიდე კლასისთვის, მერვესთვისაც და მეცხრესთვისაც შედეგები საერთოა. ამ სამი წლის განმავლობაში, პედაგოგმა ერთი და იმავე შედეგებზე უნდა იმუშაოს, მათ მიღწევას უნდა ცდილობდეს მოსწავლეებთან.

შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ძველ გეგმაში, როგორც გითხარით, ჩამონათვალის სახით იყო, ამჯერად უფრო სტრუქტურირებული და მკაფიოდ განსაზღვრულია თემებისა და ცნებების მეშვეობით. გადავწყვიტეთ, რომ მე-7 კლასში შევიდეს ისეთი საგანი, რომელიც მოსწავლეს მოქალაქეობას ასწავლის მის უშუალო გარემომცველ საზოგადოებაში (თემში, უბანში, სოფელში) – რას ნიშნავს იყო აქტიური მოქალაქე ამ არეალში. შესაბამისად, გვაქვს წლიური თემა „ინდივიდი და საზოგადოება“, ანუ ინდივიდი, როგორც მოქალაქე, როგორ უნდა მოქმედებდეს და როგორ უნდა ცხოვრობდეს თავის გარემომცველ საზოგადოებაში.

მე-8 კლასში წლიური თემაა „მოქალაქე და სახელმწიფო“ – რას ნიშნავს იყო ინიციატივიანი მოქალაქე სახელმწიფოს დონეზე, როგორ შეუძლია მას სახელმწიფოსთან ურთიერთობა, სახელმწიფო სტრუქტურებთან თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ა.შ.

მე-9 კლასში კიდევ უფრო ფართოვდება ახალგაზრდა მოქალაქის თვალსაწიერი და ასეთი წლიური თემა გვაქვს – „ადამიანი და გლობალური პროცესები“, ანუ როგორ შეუძლია მოსწავლეს მოქალაქეობრივი ცნობიერების გამოვლენა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან მიმართებით.

ასეთია საბაზო საფეხურზე „მოქალაქეობის“ შინაარსობრივი აღნაგობა. გარდა ამისა, კლასების მიხედვით, თითოეული წლიური თემა, ასე ვთქვათ, ჩაშლილია კიდევ უფრო დეტალურ სასწავლო თემებად, ანუ გვაქვს წლიური თემა და ამ წლიური თემის შემადგენელი სასწავლო თემები. მაგალითად, VII კლასში ხუთი სასწავლო თემაა, VIII-IX-ში – სამ-სამი.

VII კლასის სასწავლო თემებია: „თემი, რომელშიც ვცხოვრობ“, „სასკოლო გარემო/სასკოლო საზოგადოება“ – ეს ის თემებია, რომელთანაც მოსწავლე უშუალოდ არის დაკავშირებული. ჩვენი ამოცანაა, ვასწავლოთ მოსწავლეს, როგორ გამოავლინოს თემში, სკოლაში თუ სხვაგან თავისი მოქალაქეობა; „ჯანსაღი ცხოვრება“ – ამ თემაზე საგანგებოდ გავამახვილებ ყურადღებას იმიტომ, რომ ბოლო ხანებში გარკვეული ბრალდებები გაისმის, თითქოს ჩვენ რაღაც ისეთს ვასწავლით, რაც საზოგადოებისთვის მიუღებელია. ამიტომ ჩამოგითვლით, რის სწავლებას გულისხმობს ეს თემა: პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, ადიქცია (დამოკიდებულება ალკოჰოლზე, ნარკოტიკზე, კიბერდამოკიდებულება და ა.შ.), ადრეული ქორწინება. „ჯანსაღი ცხოვრება“ ამ საკითხებს მოიცავს და მეტს არაფერს; ძალიან მნიშვნელოვანი თემაა „გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“ და გვაქვს კიდევ „ეკონომიკური ურთიერთობები“.

VIII კლასის სასწავლო თემებია: „ადგილობრივი თვითმმართველობა“, „ცენტრალური ხელისუფლება“, „ეკონომიკა და სახელმწიფო“.

IX კლასის სასწავლო თემებია: „სამშვიდობო პროცესები და ადამიანის უფლებები“, „გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება“, „მსოფლიო ბაზარი“.

ალბათ მიაქცევდით ყურადღებას, რომ ყველა კლასში ბოლო თემა ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათისაა. ესეც ერთ-ერთი ცვლილებაა მოქალაქეობის ახალ სასწავლო გეგმაში – ამ საგანში ვაძლიერებთ ფინანსურ-ეკონომიკური განათლების კომპონენტს. ამის საჭიროება და აუცილებლობა მთელმა საზოგადოებამ დავინახეთ, რადგან ის უამრავი ეკონომიკური პრობლემა, რაც ათასობით ადამიანს ექმნება, უმეტეს წილად, გამოწვეულია ფინანსურ-ეკონომიკური განათლების დეფიციტით. ამის გამოსწორებას ვცდილობთ, გვინდა მომავალ თაობებს ამ მიმართულებითაც ავუმაღლოთ ცნობიერება.

– მე-7 კლასში თემატურ ცნებებს შორის ერთ-ერთი „ადრეული ქორწინებაა“. ამ ცნების შემოტანა ჩამონათვალში ხომ არ აძლევს საფუძველს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც აგრესიულადაა განწყობილი? უფრო დეტალურად გავაცნოთ მკითხველს, რას ითვალისწინებს ეს სასწავლო თემა?

– მე-7 კლასისთვის განკუთვნილი ხუთი სასწავლო თემიდან ერთ-ერთს ჰქვია „ჯანსაღი ცხოვრება“ და თუ რას გულისხმობს „ჯანსაღი ცხოვრება“, მოცემული გვაქვს თემატურ ცნებებში, პირდაპირი ჩამონათვალია წარმოდგენილი. ერთ-ერთი ცნებაა „ადრეული ქორწინება“ – მეშვიდეკლასელმა უნდა გაიაზროს რა არის ადრეული ქორწინება, დაუფიქრდეს მის საფრთხეებს და იმ პრობლემებს, რაც შეიძლება მოჰყვეს ადრეულ ქორწინებას.

იმ საეჭვო ბრალდებების, რაც სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან მოდიოდა, საფუძველი ამ ტექსტში, რასაც ჰქვია „მოქალაქეობის“ VII-IX კლასების სტანდარტი, შეუძლებელია არსებობდეს. მსგავსი საეჭვო და საორჭოფო ჩანაწერი არ არსებობს და არც არასოდეს ყოფილა არც ერთ სამუშაო ვერსიაში. ამ სტანდარტზე მუშაობა დიდი ხანია მიმდინარეობს და არასოდეს გვიფიქრია რაიმე ისეთი ნეგატიურის ჩაწერა, რასაც, შეეძლო ყველა აღეშფოთებინა. სამწუხაროდ, მე ვერ გეტყვით, რა არის მათი აღშფოთების საფუძველი. მგონია, რომ შეცდომაში არიან შეყვანილი.

– დიდ ინტერესს იწვევს საგანი „მე და საზოგადოება“, რომელიც სამოქალაქო განათლების ნაწილია

– „მე და საზოგადოება“ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ნაწილია. ამ ჯგუფში შედის ასევე „ჩვენი საქართველო“, ისტორია. გეოგრაფია და სამოქალაქო განათლება. ამჟამად საავტორო ჯგუფების მიერ „მე და საზოგადოების“ სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს. ისინი წერენ სახელმძღვანელოებს და წელს დაიწყება ამ საგნის პილოტირების პროცესი. „მე და საზოგადოების“ სტანდარტში ვერავინ ნახავს რამე ისეთს, რაც შეიძლება ვაი-ვიშის ატეხვის საფუძველს იძლეოდეს. გარწმუნებთ, ამ სტანდარტში არ წერია ის, რაზეც საუბრობენ გარკვეული ჯგუფები ტელევიზიით, ინტერნეტით თუ პრესით.

– ითქვა ისიც, რომ განათლების სამინისტროსა და გაეროს გენდერული თანასწორობის პროგრამის ხელმძღვანელობას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ეროვნულ სასწავლო გეგმაში უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ინტეგრირება საგნებში.

– განვიხილოთ თითოეული ტერმინი.

ადამიანის უფლებები. საქართველო არის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ბავშვთა უფლებების კონვენციის და ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული უამრავი დოკუმენტის ხელმომწერი ქვეყანა. ადამიანის უფლებებს ცალკე თავი ეთმობა საქართველოს კონსტიტუციაშიც. ბუნებრივია, ეს ყოველივე პასუხისმგებლობას გვაკისრებს, რომ საქართველოს მოქალაქეებმა სკოლაში შეისწავლონ და გაიაზრონ, რას ნიშნავს ადამიანის უფლებები და მოვალეობები.

გენდერული თანასწორობა, ანუ ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ნამდვილად არის ის ცნება, რომელიც წინა სასწავლო გეგმაშიც იყო მოცემული და, ბუნებრივია, ახლაც არის მოქალაქეობის სტანდარტში. ეს ცნება, უფრო მარტივი ტერმინის სახით – ბიჭისა და გოგოს თანასწორობა, მოცემულია „მე და საზოგადოებაშიც“. რა შეიძლება იყოს აქ ცუდი, როდესაც ბავშვებს თავიდანვე ვასწავლით იმ თანაბარუფლებიანობას, რაც ბიჭებსა და გოგონებს აქვთ. რომ გაიზრდებიან, ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობაზე იქნება საუბარი.

ჯანსაღი ცხოვრების წესი გულისხმობს სხვადასხვა ასპექტს. სამოქალაქო განათლებაში, აქცენტი, ძირითადად, კეთდება მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებაზე – როგორ უნდა მოიქცეს მოსწავლე, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვროს, დაფიქრდეს ამაზე, სხვადასხვა პრობლემური საკითხი იკვლიოს ამ კუთხით და ა.შ. იმავე ჯანსაღი ცხოვრების წესს ემსახურება სხვა საგნებიც, მაგალითად სპორტი, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში რეალიზებას უწყობს ხელს. ამის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, ვერ ვხვდები. თუ ისინი სხვა რამეს გულისხმობენ ჯანსაღი ცხოვრების წესში, როგორც ჩანს, ამ ცნების სხვადასხვანაირ აღქმასთან გვაქვს საქმე. ჩვენ ჯანსაღი ცხოვრების წესი გვესმის ისე, როგორც დღეს ვისაუბრეთ. თუ მათ, ვინც ჩვენ რაღაცებს გვაბრალებს, სხვა რაღაც ჰგონიათ, ეს მათი პრობლემაა.

– დაბოლოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ...

– რაც შეეხება *რეპროდუქციულ ჯანმრთელობას*, „მოქალაქეობაში“ ეს საკითხი ვერ იქნება წარმოდგენილი, ეს არის ბიოლოგიურ-ანატომიური ხასიათის საკითხი და შეიძლება ისწავლებოდეს ბიოლოგიის საგანში. დღეს, რამდენადაც ვიცი, საბაზო საფეხურზე ეს საკითხი ისედაც ისწავლება და ადრეც ისწავლებოდა ადამიანის ანატომიის ფარგლებში. როცა მოსწავლე ვიყავი, მაშინაც ისწავლებოდა ანატომიაში გამრავლება, ანუ რეპროდუქცია.

რეპროდუქციული ჯანმრთელობა გარკვეულწილად დაკავშირებულია ადრეულ ქორწინებასთან. სტანდარტზე მომუშავე ჯგუფში ვმსჯელობდით, ნაადრევი ხომ არ არის ადრეული ქორწინების საკითხის შემოტანა მეშვიდე კლასში.

ეროვნული სასწავლო გეგმა

აღმოჩნდა, რომ ეს ზუსტად მეშვიდე კლასის თემაა იმიტომ, რომ სწორედ ამ და შემდგომი ასაკიდან გვხვდება ადრეული ქორწინების ფაქტები. აუცილებელია, ბავშვებს თავიდანვე სწორად ავუხსნათ, რა საფრთხეებს მოიცავს და რა პრობლემები შეიძლება მოჰყვეს ადრეულ ქორწინებას.

– შეეხო თუ არა ცვლილება მოსწავლის შეფასების სისტემას?

– სტანდარტს თან ახლავს ძალიან საინტერესო ნაწილი – როგორ შეფასდეს მოსწავლე ამ საგანში. მოსწავლეთა შეფასება საკვანძო მნიშვნელობის მქონე საკითხია, რომელიც საკმაოდ დეტალურადაა გაწერილი სტანდარტში. ეს, ბუნებრივია, პირველ რიგში, განკუთვნილია მასწავლებლებისთვის. მათ ამის მიხედვით უნდა იმოქმედონ, იხელმძღვანელონ. მოქალაქეობა პროექტულ აქტივობებზე დაფუძნებული საგანია. ზუსტად ამას ვთავაზობთ პედაგოგს, რომ მან ძირითადად ყურადღება მიაქციოს პროექტულ აქტივობებს და მათი მეშვეობით შეაფასოს მოსწავლე. ვთავაზობთ ჩამონათვალს, რა შეიძლება დავავალოთ მოსწავლეს მოქალაქეობის საგანში – ეს შეიძლება იყოს კედლის გაზეთი, ფეისბუქის გვერდი, ბლოგი ან ვებსაიტი... ჩვენ ძალიან კარგი შემთხვევები ვიცით, როდესაც მოსწავლეებმა სამოქალაქო განათლებაში შექმნეს შესანიშნავი ელექტრონული რესურსები, ჩაატარეს სოციალური კვლევა და წარმოადგინეს მისი ანგარიში. შეფასების სისტემაში ისეთი სახის აქტივობები და პროექტებია მოცემული, რომლებიც ცხოვრებაში გამოადგება ადამიანს. ასეთი დავალებები უნდა მიეცეს მოსწავლეს და ამ დავალებებითვე უნდა შეფასდეს.

გვაქვს, ასევე, დისკუსიები, დებატები, იმიტირებული სასამართლო პროცესები და თოქ-შოუები, რომლებიც ძალიან სახალისოს ხდის საგნის სწავლა-სწავლების პროცესს, ამავე დროს, ძალიან ნაყოფიერია, რადგან სწორედ ამგვარ აქტივობებში ვლინდება მოსწავლის მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები. ამიტომაც, რაშიც კარგად გამოსჭვივის ეს უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები, ზუსტად ისეთ აქტივობებს ვთავაზობთ. ამ საგანში კატეგორიული წინააღმდეგი ვართ ტესტის, განსაკუთრებით დახურულ ტესტებს ვგულისხმობ, როგორც შეფასების ფორმისა.

მნიშვნელოვანია, რომ შეფასების ეს კომპონენტი ჩადებულია სტანდარტში, ანუ სასწავლო გეგმის სავალდებულო ნაწილში. რაკი ასეთ შეფასებას ვითხოვთ, პედაგოგებს შესაბამის მეთოდიკურ ორიენტირებსაც ვთავაზობთ. ჩვენ ჩამოთვლილი გვაქვს უამრავი ტიპური აქტივობა, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ „მოქალაქეობის“ სწავლების პროცესში.

–კიდევ რას დაამატებდით

– გარდა იმისა, რომ ძირითადად ვსაუბრობთ სტანდარტზე, „მოქალაქეობას“, სტანდარტის გარდა, აქვს წლიური პროგრამაც. ეს კიდევ ერთი სიახლეა, რაც ძველ სასწავლო გეგმებში არ არსებობდა.

ძველი გეგმის მიხედვით, მასწავლებლებს და ავტორებს ვეუბნებოდით, რა სასწავლო შედეგები გვინდოდა, რომ მიღწეული ყოფილიყო კონკრეტულ კლასში და რა შინაარსზე დაყრდნობით, მაგრამ როგორ წარემართათ სასწავლო პროცესი, ნიმუშის სახით არ ვთავაზობდით. ახლა ეს შეცვლილია, ვაძლევთ კონკრეტულ ნიმუშს, თუ როგორ წარმართონ „მოქალაქეობის“ სწავლების პროცესი, რათა მიაღწიონ იმ სასწავლო შედეგებს, რაც გაწერილი გვაქვს სტანდარტში, ანუ წლიურ პროგრამაში მოცემულია სტანდარტის რეალიზების გზა. იგი სარეკომენდაციო ხასიათისაა. ბუნებრივია, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ პედაგოგს თუ სახელმძღვანელოს ავტორს შეუძლია წლიური პრაგრამისაგან განსხვავებული, ორიგინალური გზის დასახვა.

– როდის გაივლის პილოტირებას საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა?

– ამ სასწავლო წელს, ალბათ, არა. 2017 წლის შემოდგომიდან იგეგმება დაწყებითი საფეხურის საგნის „მე და საზოგადოების“ პილოტირება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2018-2019 სასწავლო წელი უკვე საბაზო საფეხურისთვის იქნება საპილოტე. ეს მხოლოდ ვარაუდია, თუმცა, ამავე დროს, ჩვენი სურვილიცაა. გვინდა, დროულად მოესწროს. შემდეგ უკვე გველის საშუალო საფეხურის (X-XII კლასების) ეროვნულ სასწავლო გეგმაზე მუშაობა, ისიც შესაცვლელია.

ესაუბრა
ლალი თვალაბეიშვილი

ინფორმაცია

თავისუფალი გაკვეთილები

თბილისის მე-60 საჯარო სკოლაში წარმატებით დაინერგა თავისუფალი გაკვეთილები, რომლის ფარგლებშიც, მოსწავლეებმა პროექტები – „დეკუპაჟი ანუ, ძველი ნივთების განახლება“ და „ხელნაკეთი ნიგნების შექმნა“ განახორციელეს. მათ დაძველებულ, დაზიანებულ და უსარგებლო ნივთებს ახალი სიცოცხლე შესძინეს, განაახლეს და ფუნქცია დაუბრუნეს, შექმნეს სიუჟეტები, ილუსტრაციები და თავისი ხელით ააწყვეს პატარა წიგნები. მოსწავლეების საქმიანობას გაეცნო და პროექტის ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები დაათვალიერა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ლია გიგაურმა.

სკოლებში „თავისუფალი გაკვეთილები“განათლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივაციის გაზრდის მიზნით დაინერგა. არაფორმალური, თავისუფალი გაკვეთილები სკოლების გაძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია, რადგან სახელმწიფოს მხრიდან მისი დაფინანსებით გაიზარდა როგორც სკოლის მოქმედი მასწავლებლების, ისე დირექცია/ადმინისტრაციის შემოსავალი და შესაბამისად, მოტივაცია. სასკოლო ცხოვრება უფრო აქტიური, სახალისო და მოსწავლეებისთვის საინტერესო გახდა.

თავისუფალი გაკვეთილები გულისხმობს მოსწავლის ინტერესებზე მორგებულ კლასგარეშე/არაფორმალური აქტივობების ციკლს, რომლის შინაარსი და სწავლების მეთოდოლოგია განსხვავდება საგაკვეთილო პროცესისგან, არ ითვალისწინებს საშინაო დავალებების მომზადებას, მოსწავლის შეფასებას, ნებაყოფლობითია და არ აქვს საგაკვეთილო სახე.

პროგრამაში, მიმდინარე სასწავლო წელს, 800 საჯარო სკოლა ჩაერთო. თავისუფალი გაკვეთილები ტარდება შემდეგი მიმართულებები:

- სპორტული აქტივობები;
- წიგნიერების განვითარება;
- კულტურა/ხელოვნება;
- ინტელექტუალურ-შემეცნებითი აქტივობები.

ლია გიგაური: *„დღეს ჩვენ ვნახეთ ძალიან საინტერესო ოთხი მიმართულების გაკვეთილი, ძირითადად, შემოქმედებითი მიმართულების – არტთერაპიის და ძველი ნივთების გაცოცხლების. ყოველი მოსწავლე, რომელიც პროექტშია ჩართული, ბედნიერია, რადგან ამ გაკვეთილზე თავისუფლად გრძნობს თავს, მას არ აფასებენ, და საშუალება ეძლევა, მთლიანი სპექტრით გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. მასწავლებელი ეხმარება ამ შესაძლებლობების უკეთ რეალიზებულ ზებაში.*

შედეგები, რომელიც ამ გაკვეთილმა მოგვცა, ძალიან მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლეებისთვის – საბოლოოდ მიიღეს ისეთი პროდუქტები, რომლებმაც მოტივაცია და საკუთარ შესძლებლობებში რწმენა გაუჩინა, ასევე პედაგოგებისა და დირექციისთვის – ამ აქტივობებში ჩართვით მათ დამატებითი შემოსავალი უჩნდებათ. პროექტი ძალიან პოპულარულია, საქართველოს მასშტაბით, მართალია, ამ ეტაპზე, 800 სკოლაში მიდის მაგრამ ახალი სასწავლო წლიდან პროექტში ჩართვის მსურველთა 1500-მდე განაცხადია შემოსული.“

საპასუხო წერილები ავღანეთიდან

„ჩვენი გამარჯვება დამოკიდებულია რწმენასა და იმედზე, რომელსაც თქვენ გვაძლევთ“, „თქვენი პატარა გულით ნათქვამი ეს სიტყვები ჩვენთვის ბევრს ნიშნავს“, „მიხარია, რომ ასეთი მაგარი ხალხი, როგორიც შენ და შენი მეგობრები ხართ, ჩვენზე ღელავენ“ – ასე იწყება საპასუხო წერილები, რომელიც ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეებმა ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მყოფი ჯარისკაცებისგან მიიღეს. მოზარდებმა ბარათები ქართველ მშვიდობისმყოფელებს, პროექტის „წერილები ჯარისკაცებს“ ფარგლებში, რამდენიმე თვის წინ გაუგზავნეს.

პატარები გზავნილებში სამშობლოსაგან შორს მყოფ სამხედროებს თანადგომას უცხადებენ და მათი ცხოვრების წესით ინტერესდებიან: *„თქვენ ჩემთვის საქართველოს ერთგული ადამიანები ხართ“, „მინდა ყველა ქართველმა მოგბაძოს და სამშობლოს სიყვარულში შეგეჯიბროს“, „ერთად დავიცვათ სამშობლო“, „მამაცო ჯარისკაცო, ბევრი რამ მაინტერესებს – როგორ ვარჯიშობთ, რითი გადაადგილდებით?“* – ამ წერილების ადრესატები საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის სამხედროები იყვნენ, რომლებიც ბაგრამის საავიაციო ბაზაზე არიან დისლოცირებული.

ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლას საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ლევან იზორია**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** და იუსტიციის მინისტრის მოადგილე **მიხეილ სარჯველაძე**, ავღანეთის სამშვიდობო მისიიდან დაბრუნებულ სამხედროებთან ერთად, ესტუმრნენ. მათ სკოლის IV-V კლასების მოსწავლეებს ქართველი მშვიდობისმყოფელების მიერ ავღანეთიდან გამოგზავნილი საპასუხო წერილები გადასცეს. სამხედროებმა და მოსწავლეებმა წერილები ერთად გახსნეს და წაიკითხეს. ღონისძიება ვიდეოკონფერენციით გაგრძელდა. მოსწავლეებს დამეგობრებულ ჯარისკაცებთან საუბრისა და კითხვების დასმის საშუალებაც მიეცათ.

„წერილი ჯარისკაცებს“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, იუსტიციისა და თავდაცვის სამინისტროების ერთობლივი პროექტია, რომელსაც დანაშაულის პრევენციის ცენტრი, სტუდენტებთან ერთად, 2012 წლიდან ახორციელებს.

პროექტის მიზანი სამშობლოდან შორს მყოფი მებრძოლებისათვის თანადგომისა და მხარდაჭერის გამოხატვაა.

კონკურსში გამარჯვებულები

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული აბიტურინტებისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბიზნესგამოცემა „ფორბსის“ ერთობლივ სასტიპენდიო კონკურსში, აბიტურიენტებმა საინტერესო და ინოვაციური პროექტები წარმოადგინეს. მათგან სამი გამარჯვებული გამოვლინდა:

I ადგილი – ჯგუფი MCE (Make Communication Easy) – გოგონებისაგან შემდგარი გუნდის მიერ შექმნილი MCE Box არის მოწყობილობა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სმენადაქვეითებულთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა. მოწყობილობა სენსორების მეშვეობით აღიქვამს ჟესტური ენის საშუალებით შექმნილ მოძრაობებს და მათ ტექსტის სახით აგენერირებს.

II და III ადგილები დაიკავეს ჯგუფებმა – QR Guide და Follow Me – ინოვაციური ტურისტული პროექტებით.

უსახელო ფრთამოტეხილი ანგელოზების სამყაროში

მაკა ყიფიანი

2 ივნისს, „წიგნის სახლში ბახტრიონზე“, მხატვრისა და მოქანდაკის, **ბესო კობახიძის** ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა გაიხსნა. ბესო კობახიძემ რაჭაში, ამბროლაურის რაიონის პირველი საშუალო სკოლა დაამთავრა. სწავლა მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში განაგრძო, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია დაამთავრა. მშობლიურ რაჭაში დაბრუნებულმა, შემოქმედებითი საქმიანობა განაგრძო. ამჟამად, ბესო ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმს ხელმძღვანელობს, სამსახურის შემდეგ კი, სახლში დაბრუნებული, თავის პატარა სახელოსნოში მოლბერტთან აგრძელებს მუშაობას.

პირველი პერსონალური გამოფენისთვის ნახატების შერჩევა მხატვრისთვის არც ისე მარტივი აღმოჩნდა, მეგობრები დაეხმარნენ. წარმოდგენილი 30 ფერწერული ნამუშევარი (პორტრეტები, აბსტრაქცია) და 7 ქანდაკება, მისი კოლექციის მხოლოდ მცირედი ნაწილია. რაჭაში, მამაპაპისეული სახლის მეორე სართულზე, მხატვრის სახელოსნოში, დაახლოებით, 400-ზე მეტი ნამუშევარია განთავსებული, უამრავი ნახატი, ქანდაკება, თოჯინა და მარიონეტი, რომელთაგანაც არც ერთი არ იღიმის, უსახელოა და ყველა ანგელოზი – ფრთამოტეხილი, თითოეულს რაღაც ღრმა სევდა ტანჯავს... მხატვრის ნამუშევრები ადვილად აღსაქმელი არ არის, თითოეულს საკუთარი ისტორია, წარსული და ხასიათი აქვს. კონსერვის ქილებზე ჩამომსხდარი ანგელოზები, რაღაც თვითმყოფადი ენერგიით შეპყრობილნი, სევდიანი მზერით იქცევენ დამთვალიერებლის ყურადღებას. ისინი მარტოობას, სირცხვილს, დანაშაულის შეგრძნებას, სინანულს და ტკივილს გამოხატავენ. მათი ნახვისას სრულიად მოულოდნელ, გასაოცარ, უცხო სამყაროში აღმოჩნდებით. ბესოს ნამუშევრები ყოფიერების ანარეკლია და იმ ენერგიის მატარებელი, რომელიც თითოეულ ადამიანში დევს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, გამოხატულებას ვერ პოულობს. რატომ არის ყველა ანგელოზი ფრთამოტეხილი და რატომ არ იღიმის არცერთი მათგანი, ამაზე მხატვარი ამგვარად გვპასუხობს: *„ანგელოზების კეთება ჩემი ცხოვრების ყველაზე რთულ პერიოდში დავიწყე, ჯანმრთელობის პრობლემა მქონდა. ვხატავდი და ვაქანდაკებდი ანგელოზებს, მაგრამ ყველას ფრთამოტეხილს. ეს ქმნილებები უფრო მიწიერი არსებები – ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებსაც თავი ანგელოზებად წარმოუდგენიათ. ისინი არ არიან ანგელოზები, ვერ ცდებიან ყოფიერებას, ადამიანად ყოფნის თანმდევ ტკივილს გამოხატავენ. ეს შეგრძნებები ისეთივე ნაცნობია ჩემთვის, როგორც, ალბათ, ყველა მიწიერისთვის. კონსერვის ქილაზე ჩამომსხდარი ანგელოზებით გამოვხატავ, რომ ადამიანები უფრო ყოფითზე ვფიქრობთ, ვიდრე სულიერზე. ქილა – საჭმლის, მიწიერის, ყოფითი შინაარსის მატარებელია. ფრთებიც ამიტომ აქვთ მოტეხილი, ჩვენც ხომ ასე ვართ, გაფრენა გვინდა, მაგრამ ვერ გავფრინდებით, ცოდვის შვილები ვართ, მიჯაჭვულნი რაღაც მიწიერს“.*

ისეთივე ნაცნობია ჩემთვის, როგორც, ალბათ, ყველა მიწიერისთვის. კონსერვის ქილაზე ჩამომსხდარი ანგელოზებით გამოვხატავ, რომ ადამიანები უფრო ყოფითზე ვფიქრობთ, ვიდრე სულიერზე. ქილა – საჭმლის, მიწიერის, ყოფითი შინაარსის მატარებელია. ფრთებიც ამიტომ აქვთ მოტეხილი, ჩვენც ხომ ასე ვართ, გაფრენა გვინდა, მაგრამ ვერ გავფრინდებით, ცოდვის შვილები ვართ, მიჯაჭვულნი რაღაც მიწიერს“.

აღსანიშნავია, რომ ბესო კობახიძის გამოფენა არასოდეს ჰქონია, რადგან ეს დიდ ფინანსებთან იყო დაკავშირებული. ასევე პრობლემა იყო ნამუშევრების გამოფენისთვის მომზადება, დაჩარჩოება, ნახატების რაჭიდან თბილისში ტრანსპორტირება, და ისევ უკან, მხატვრის პატარა სახელოსნოში დაბრუნება, თუმცა, საბედნიეროდ, გამოფენა მაინც შედგა. მხატვრის ნამუშევრებით საზოგადოება რადიო თავისუფლების ჟურნალისტის, **ეკა ქევანიშვილისა** და მოგვიანებით, რუსთავი 2-ის ჟურნალისტის – **გვანცა სუთიძის** მიერ მომზადებული რეპორტაჟის ეთერში გასვლის შემდეგ დაინტერესდა და სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა. ამასთანავე, მისი ნამუშევრებით აღფრთოვანებულმა მწერალმა, **დათო ტურაშვილმა** ამბავი რაჭიდან თბილისში ჩამოიტანა. მხატვარი უზომოდ მადლიერია მათი: *„ჩემი ნამუშევრები სწორედ ამ ადამიანებმა გამოიტანეს დღის სინათლეზე, შემდეგ სოციალური ქსელის საშუალებით დამიკავშირდა ამერიკაში მცხოვრები, ჩემთვის უცნობი ქართველი ემიგრანტი, ქალბატონი* ***ნატა ენუქიძე****, რომელმაც გამოფენის ორგანიზება შემომთავაზა. სწორედ მისი ინიციატივითა და ხელშეწყობით, მოეწყო ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა, რომლისთვისაც* ***მაკა მამისეიშვილმა*** *სიამოვნებით დაგვითმო სივრცე „წიგნის სახლში ბახტრიონზე“... არც კი ვიცი, სიტყვებით როგორ გამოვხატო მათდამი მადლიერება“.*

ნატა ენუქიძე, ამერიკაში მცხოვრები ემიგრანტი: *„მართალია, ბოლო 20 წელი მედიაში ვმუშაობდი, მაგრამ ჩემი ერთ-ერთი პროფესია რესტავრატორობაა. 80-იან წლებში ფრესკების რესტავრაციაზე ვმუშაობდი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის, ჩემ მშობლიურ რაჭაში, სორში. იქ მართლაც კედლის უნიკალური მხატვრობაა... ამით იმის თქმა მინდა, რომ მხატვრობა ჩემი საყვარელი თემაა... მრცხვენია, რომ ბესოს შესახებ აქამდე არაფერი ვიცოდი, ესეც მედიის ბრალია, მედია დაიშტამპა და გაზარმაცდა, სულ ერთსა და იმავე ადამიანებზე წერს...*

მოგეხსენებათ, საქართველოდან შორს ვარ და ჩემი სარკმელი, სამშობლოსკენ გაჭრილი, Facebook-ია. დროში 13-საათიანი განსხვავება კი იმას ნიშნავს, რომ, როცა მე აქ მძინავს, იქ ვნებათა ღელვა ტრიალებს, ამიტომ დილიდანვე სწრაფად ჩამოვუქროლებ ხოლმე Facebook-ს და, ერთხელაც, აპრილში, ასე მოვკარი თვალი ტელესიუჟეტს. მის გახსნას არ ვაპირებდი, მაგრამ შევნიშნე, რომ სტუმარს, ცნობილ მწერალს, წინ უცნაური პატარა თოჯინა ედო, ხელოვნების ნიმუში, რომელმაც წამიერად დაიპყრო ჩემი გული. ასე გავიგე, რომ ჩემ საყვარელ რაჭაში ყოფილა მხატვარი, რომლის ოცნებაც გამოფენის მოწყობაა. ეს იყო და ეს! რასაკვირველია, როცა დედაქალაქიდან შორს ცხოვრობ, სამსახური, ოჯახი, სახლ-კარი თავისას მოითხოვს და ნაკლებად გაქვს იმის დრო, 300 კმ-ზე ირბინო და გამოფენის ამბები მოაგვარო. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ დავეხმარე ბესოს, ღირსეულად წარმდგარიყო საზოგადოების წინაშე. ის საოცარი მხატვარია, ერთნაირად გენიალურია მისი პორტრეტები, რომლებსაც უნდა უსმინო, უსმინო, რადგან განსაცვიფრებელი მთხრობელები არიან... ო, რა ისტორიებს მიყვებიან... აბსტრაქციაში ნამდვილი „ასია“. ამაში დამეთანხმება ყველა, ვისაც აბსტრაქციის დასანახი მესამე თვალი უბოძა ღმერთმა... მისი მარიონეტები და ქანდაკებები ხომ კიდევ ერთი სასწაულია: ერთი შეხედვით, არაამქვეყნიური და, ამავე დროს, ადამიანური ვნებებით მიწაზე სამუდამოდ მიჯაჭვული, ფრენის სურვილით ატაცებული, მაგრამ შიმშილის დაუძლეველი გრძნობით მიწას დანარცხებული, თითქოს უნაკვთო, და ამავდროულად, შემაძრწუნებლად მეტყველი და ექსპრესიული.

როგორც ჩემმა მეგობარმა მაკა მამისეიშვილმა, თქვა – ბესო მომავლის მხატვარია! აი, რაჭას კი, შეუძლია ბევრი გაუკეთოს ბესოს და, ამავდროულად, თავის თავს. მე რომ რაჭის დეპუტატი ან მხარის წარმომადგენელი ვიყო, აუცილებლად გამოვიყენებდი რაჭის ტურისტულ პოტენციალს და ბესოს რაჭის სავიზიტო ბარათად ვაქცევდი: ბილბორდებით, ერთი საგამოფენო სივრცით... მოკლედ, ეს დიდი თემაა, ანუ, ბესოა დიდი თემა და ჩვენ უნდა ვისწავლოთ ასეთი ნიჭის დაფასება, ამაში დიდი წილი გიდევთ ჟურნალისტებს. აქაც დაინტერესდნენ ბესოს ნამუშევრებით და რამდენიმეს შეძენის სურვილი გამოთქვეს. საქართველოში კი, სამწუხაროდ, ან ფული არ აქვთ, ან თუ აქვთ, ერთ შეკვრა შპალერში უმალ გადაიხდიან 500 ლარს, ვიდრე ასეთ მარადიულ ხელოვნებაში.

დაბოლოს, ბესო ამბობს, რომ მისთვის მთავარია მხატვრების, პროფესიონალების შეფასება. მე კი ვიტყოდი, რომ არსებობს პროფესიული შური! რადგან არ მახსენდება, რომელიმე მხატვარს ეთქვას რამე ბესოზე, ისევ ჟურნალისტებმა და მწერალმა დათო ტურაშვილმა გაგვაცნეს ის!“

ბესო კობახიძე, მხატვარი და მოქანდაკე: *„ჩემი ნამუშევრები მასისთვის არ არის განკუთვნილი, განსხვავებულ ჟანრში ვმუშაობ და ამიტომ ბევრისთვის ძნელი გასაგებია, მით უმეტეს რაჭაში ხელოვნების მიმართ სხვა გემოვნება, დამოკიდებულება და კრიტერიუმებია. ეს უფრო პროფესიონალების, მხატვრების, ხელოვნებათმცოდნეების შესაფასებელია. ძალიან მიყვარს აბსტრაქცია, ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი, თანამედროვე, კონცეპტუალური მხატვრობა. აბსტრაქცია ყველაზე რთულია და თუ აქ თავისუფალი ხარ, მაშინ ყველაფერში, ცხოვრებაში და სრულიად სამყაროში შეუზღუდავი იქნები.*

კონკრეტულ ადამიანებს არ ვძერწავ, თუმცა ყველა მათგანში საკუთარ განწყობასა და ემოციას ვდებ, ქანდაკებები მუშაობის პროცესში იბადებიან. ზოგი მოძრაობაშია გაყინული, ზოგი კონსერვის ქილაზე ჩამომჯდარი, ჩაფიქრებული და მოწყენილი. სახელებს არ ვარქმევ, უბრალოდ ვნომრავ, ფაქტობრივად, მათი სახელი კონკრეტული ნომერია. როცა ნამუშევარს სახელს არქმევ, ამით მნახველს არ აძლევ ფიქრის საშუალებას. ქანდაკების კონსტრუქციას მავთულით ვაკეთებ, შემდეგ ფქვილით და წყლით დასველებული გაზეთებით ვფარავ, ნაკვთები და კიდურები თიხით გამომყავს. ხელით ვეხები ტუჩებს, ცხვირს, თვალებს, ყველაფერს ვგრძნობ და მუშაობაც მიადვილდება.

მარიონეტების შექმნის სურვილი ჯერ კიდევ ბავშვობიდან მქონდა, მაინტერესებდა, როგორ კეთდებოდა ისინი. ტექნიკა ჩემი მეგობრისგან, რეჟისორ ***ალეკო ესვანჯიასგან*** *შევისწავლე და 20-მდე მარიონეტი თოჯინა გავაკეთე. ყველა მათგანი სევდიანი, ჩაფიქრებული, ზოგიც შეშინებულია... თუმცა, მალევე მივხვდი, რომ რაჭაში, სადაც თეატრი არ არსებობს, არ გვყავს რეჟისორი, მარიონეტების კეთებას აზრი არ ჰქონდა. მაგრამ მე მაინც ვოცნებობდი ჩემი მარიონეტები სპექტაკლისთვის ან ანიმაციისთვის შემექმნა, ჩემი თიხის მეგობრები ყველასთვის გამეცოცხლებინა. აპრილში, რაჭაში, სტუმრად იმყოფებოდა მწერალი დათო ტურაშვილი, რომელსაც ჩემი ნამუშევრები ძალიან მოეწონა და გადაწყვიტა, მარიონეტებზე პიესა დაწეროს. მალე რაჭაში რეჟისორს ველოდებით, გვინდა პატარა თეატრი დავაარსოთ და სხვადასხვა სოფლებში, სადაც თუნდაც 3 ბავშვია, მარიონეტების სპექტაკლები ვაჩვენოთ.*

ბოლო შვიდი წელია, აქტიურად ვმუშაობ. ძირითადად, აკრილის საღებავებით ვხატავ, რაც საშუალებას მაძლევს, ექსპერიმენტები ვაკეთო ტილოზე, ქაღალდზე, შერეულ ტექნიკაში. ძი-

რითადად ვხატავ პორტრეტებს, აბსტრაქციას. თუ ხატვა გინდა, არ აქვს მნიშვნელობა რაზე დახატავ. შპალერზეც ვხატავდი. რამხელა ტილოც არ უნდა იყოს, ერთ დღეში ვასრულებ. მუშაობის პროცესი ძალიან მსიამოვნებს. საკუთარი ნამუშევრით კმაყოფილი არასოდეს ვარ... მოკლედ, რაც ვარ ეს ვარ, ვზივარ რაჭაში, ჩემ პატარა სახელოსნოში და ვხატავ, ჩემ განწყობასა და სულიერ სამყაროს გამოვხატავ. ხატვა მთელი ჩემი ცხოვრებაა, მის გარეშე არ შემიძლია".

დათო ტურაშვილი, მწერალი: *„ბესო კობახიძე, ეს საოცარი ადამიანი,* ***ჟანა ბაბუნაშვილმა*** *აღმომაჩენინა. რაჭაში ყოფნის დროს მითხრა, რომ ძალიან კარგ მხატვარს იცნობდა ამბროლაურში და წავედით მისი ნამუშევრების სანახავად. როგორც კი ბესომ დაილაპარაკა, მაშინვე მივხვდი, რომ სულ სხვა ადამიანს შევხვდი. როცა იმ ოთახში შეგვიყვანა, სადაც მისი ნახატები და თოჯინები ცხოვრობენ, უცებ სუნთქვა შემეკრა და მერე, როცა ამოვისუნთქე, აღფრთოვანებისგან ვეღარ გავჩერდი. მადლობა „წიგნის სახლს ბახტრიონზე" და ამბროლაურში იმ ადამიანებს, ვინც მას დაეხმარა, რომ ამ თოჯინებმა სცენური სიცოცხლე დაიწყონ. უკვე დაიძრა ეს საქმე და რა კარგი იქნება, რომ პატარა რაჭველებს თავისი თეატრი ექნებათ და მარიონეტების ენით მთავარ ღირებულებებს ბავშვობიდანვე ისწავლიან.*

სპეციალურად ბესო კობახიძისთვის და მისი მომავალი თეატრისთვის მინდა კიდეც დავწერო პიესა და იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. ბესოს ნახატები კი, შემოდგომიდან, თბილისის რამდენიმე გალერეაში გამოიფინება, მას საზოგადოების უფრო მეტი ნაწილი გაიცნობს, თუმცა, ის გაცილებით მეტ ყურადღებას, თანადგომასა და სიყვარულს იმსახურებს ჩვენგან..."

გურამ გორდეზიანი, პოეტი: *„ბესო კობახიძის შემოქმედება ჩემთვის უცხო არ არის, მის შემოქმედებას დიდი ხანია ვიცნობ. ნამუშევრების უმეტესი ნაწილი თითქმის ჩემ თვალწინაა შექმნილი. ბესო უსაზღვრო შესაძლებლობის ადამიანია, რომლის მთლიანი სივრცის აღმოჩენა ერთი პიროვნებისთვის წარმოუდგენელია. უსაზღვროა მისი შემოქმედებითი ასპარეზი და შესაძლებლობები – ამოუწურავი. ზედმეტად თვითკრიტიკულია, თავმდაბლობით გამოირჩევა, ყველასთვის საჩვენებელი ადამიანია, რომელსაც გაფრთხილება, დაფასება და მხარდაჭერა სჭირდება. ბესოს ნაჩუქარი რამდენიმე ნახატი მაქვს, რომლებიც იმდენად ძვირფასი ნამუშევრებია, რომ აუცილებლად ჩემს ქვეყანას უნდა დავუბრუნო. ნამუშევრებს საჩუქრად გადავცემ ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმს. ისეთი ტურისტული პოტენციალის მატარებელი მხარე, როგორიც რაჭაა, ასეთ ადამიანს ისე უნდა მიესათუთოს, როგორც სხვა გენიალურ რაჭულ კულტურასა თუ ტრადიციას. მისი ნახატები ბევრ გალერეაში უნდა გამოიფინოს. უფრო მეტიც, ამ შესაძლებლობების მხატვრებისთვის კერძო გალერეაც კი უნდა აშენდეს".*

ასლან საგანელიძე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: *„გამომდინარე იქიდან, რომ ბესო ჩემი თანაკლასელია, შეიძლება მასთან მიმართებაში ძალიან სუბიექტური ვიყო. ბესოს ნიჭიერება სკოლის მერხიდან მახსოვს. მისთვის უინტერესო გაკვეთილებზე ის აუცილებლად ხატავდა, მათ შორის თანაკლასელების კარიკატურებს. მაშინ ჩვენ არ ვიცოდით არც მისი ნამუშევრების ფასი და არც მათი მომავალი, ამიტომ სათანადოდ ვერ ვაფასებდით მის ნახატებს. ბესო მართლაც უნიჭიერესი მხატვარია, რომელიც ჩუმად, თავისთვის, ძალიან დიდ საქმეს აკეთებს. სამწუხაროდ, თითქოს მისი არჩევანია, იდგეს ჩრდილში. არა ერთხელ მსმენია ბესოს შემოქმედების შესახებ კვალიფიციური შეფასება, პროფესიონალთა აზრი. ხელოვნებათმცოდნეები მას ფიროსმანსაც კი ადარებენ. ბესოს ნამუშევრების პერსონალური გამოფენა კიბის პირველი საფეხურია დიდ მწვერვალზე ასასვლელად. ვულოცავ მას ამ დიდ წარმატებას! ჩვენი მხრიდან ბესოს აუცილებლად ექნება ხელშეწყობა და მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ ამბროლაურის მუზეუმში უნიკალური ექსპონატებია დაცული, თუმცა ფართი, რომელშიც ეს ნამუშევრებია განთავსებული, აბსოლუტურად არ შეესაბამება არსებულ სტანდარტებს. ბუნებრივია, ტურისტის მოზიდვის თვალსაზრისით, მუზეუმი ერთ-ერთი აუცილებელი ქვაკუთხედია, ამიტომ დღის წესრიგში დგას საკითხი, აშენდეს ამბროლაურში სახვითი ხელოვნების მუზეუმი, ონში კი – მხარეთმცოდნეობის. ბუნებრივია, პროექტის განხორციელების შემდეგ ბესოს ნამუშევრები ამ მუზეუმში საპატიო ადგილს დაიკავებს".*

ბესო კობახიძის პერსონალურმა გამოფენამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვრები არ აქვს. იმედია, კონსერვის ქილაზე ჩამომსხდარი ფრთამოტეხილი ანგელოზები, ოდესმე დაეხსნებიან მიწიერებას და მაღლა, სულ მაღლა, ზეცაში, აფრინდებიან. ალბათ დიდხანს დავრჩები იმ შთაბეჭდილებების ქვეშ, რაც სულ რაღაც ერთ საათში გააცოცხლეს ჩვენთვის ბესოს ნამუშევრებმა და იმდენად ახლობლები გახდნენ, რომ დავფიქრდი კიდეც – იქნებ ადრეც შევხვედრივარ მის უსახელო ანგელოზებს, ქანდაკებებსა და მარიონეტებს ადამიანებს შორის ან იქნებ საკუთარ თავშიც კი.

სასკოლო აქტივობა

პოეზიის მარადი გაზაფხული

„დღეს, ლადო ასათიანი ქართველი ხალხის ყველაზე საყვარელ პოეტთა შორის იხსენება. ხალხის სიყვარული რომ დაიმსახურო, ისიც ისეთ პოეტურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, დიდი რამ გმირობა უნდა ჩაიდინო, ამ შემთხვევაში გმირობას – ინტელექტუალურს, ასათიანი პოეზიის ნიჭმა აზიარა," – წერდა პოეტის მეგობარი ლადო ავალიანი. ამ სიტყვებს აქტუალობა არც დღეს დაუკარგავს, 2017 ლადოს წლად გამოცხადდა და პოეტის ასი წლისადმი მიძღვნილი იუბილე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში აღინიშნა.

ლადომ ქუთაისში გაატარა სიჭაბუკის წლები, აქვე დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და სწორედ ამ ქალაქში გამოიკვეთა მისი პოეტური ხმაც. სიმბოლურია ისიც, რომ ქუთაისი განსაკუთრებით მიაგებს პატივს „მარად ჭაბუკად" დარჩენილი პოეტის ხსოვნას.

2 ივნისს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პირველი საჯარო სკოლის IV[6] კლასმა სწავლის პირველი საფეხურის დასრულება ლადო ასათიანის საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ღონისძიებით დააგვირგვინა (სკოლის დირექტორი – **სალომე სარალიძე**, კლასის დამრიგებელი – **ინეზა ივანეიშვილი**, სცენარის ავტორი და რეჟისორი – **ანა ჟღერია**).

მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიციის „პოეზიის მარადი გაზაფხული" დაწყებამდე, სკოლის სააქტო დარბაზში, ლადოს ლექსებზე შექმნილი მელოდიები ისმოდა, მოწვეულ სტუმრებს კი საშუალება ჰქონდათ, თვალ-ყური ედევნებინათ ეკრანისთვის, რომელზეც პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო-ვიდეოკოლაჟი გადიოდა. სასიამოვნო განწყობას ქმნიდა ხელით მოწნული მინიატურული კალათებიდან მომზირალი სხვადასხვა ფერის მინდვრის ყვავილები და ძველებურშტრიხდამატებული დეკორაციები.

ღონისძიება უჩვეულოდ ამაღლებულ ნოტაზე დაიწყეს მაყურებლებში მსხდომმა ბიჭუნებმა: **გიორგი ხურციძემ**, **ლევან გოგელაშვილმა**, **ანდრია ვარდანიძემ**, **სანდრო მეშველიანმა**, **გიორგი დვალიშვილმა** და **ბერო კვერნაძემ**. ლექსის „ჩემი ქვეყნის ოქროყანა" ომახიანი დასასრული სცენაზე მდგარმა გოგონათა და ვაჟთა ხალხური სიმღერების შემსრულებელმა ანსამბლმა (ხელმძღვანელი – **მაიზერ გაზდელიანი**) აიტაცა და ლადოს „ასათიანური" ბნკარები სიმღერად დააგუგუნა.

ლეჩხუმი, ბარდნალა, გუჯუ და მექი ასათიანები – ლადოს სახელოვან წინაპრებზე, მშობლებზე ისაუბრეს: **გიორგი ბებურიშვილმა**, **ელზა ბედენაშვილმა**, **ნია ბოდოკიამ**.

„სულ მენატრება და მელანდება ასეთი სურათი: თენდება, ყველაზე უწინ ჩიტების ჭიკჭიკი და ყღურტული ჩამესმის ყურში, თვალს ვჭყეტ, ზეზე წამოვვარდები, ფეხშიშველი, თავქუდმოგლეჯილი გავვარდები კარში. მზე ახლახან ამოდის გუმარეშის ჭალებში... ერთი ასეთი სოფლის დილა ღირს მთელ სიცოცხლედ. ესაა მიწის სინედლე და სურნელი – ვაჟას და ფიროსმანს რომ უყვარდა." – პოეტის ეს წერილი და ბევრი სხვა ლექსი, რომელიც სოფლის მონატრებას უკავშირდება, გულში ჩამწვდომად წაიკითხეს: **გოგა გოგისვანიძემ**, **ნიკოლოზ ზვიადაძემ**, **ვერონიკა კვიმსაძემ**.

ლადოს თბილსიტყვაობა გულზე სალბუნად ედებოდა დიდსა თუ პატარას, ჩვეულებრივ მოკვდავსა და დიდ მგოსანს. პოეტ იოსებ ნონეშვილის ლექსი, რომელიც მან ასათიანს უძღვნა, დიდი რუდუნებით წაიკითხეს **ანამარია თხელიძემ** და **გიორგი ქარქაშაძემ**; მოსწავლეებმა: **ნიკოლოზ თინიკაშვილმა** და **ანი ბასილაძემ** ქუთაისში გატარებული ის წლები გაიხსენეს, როცა ლადო თვრამეტი წლის იყო და უმღეროდა დაფნითა და პალმებით ამწვანებულ ახალ ქუთაისს. პოეტს ატკბობდა ხალხური ენა, ღრმად სწამდა, რომ უცნობი, ნამდვილად ქართული სიტყვები და ბუნებრივი გრამატიკული ფორმები ხალხში იყო შემონახული და მათ დაცვა ესაჭიროებოდა. „მცვრიანი ენის" რაობასა და „საქართველოს მთებში გაჩენილ – სიყვარულის, ლექსის და სადღეგრძელოს ენის" ლადოსეულ შეხედულებებზე გაამახვილეს ყურადღება: **თამარ გვენეტაძემ**, **მარი ნიშნიანიძემ**, **ანამარია სანიკიძემ** და **ნინი ფუტკარაძემ**.

პოეტის მძიმე ოჯახურ პირობებზე, პირად უბედურებაზე – დედის სახელთან რომაა დაკავშირებული – **მარიამ ბეღელაძემ** და **ქეთა ჩიგოგამ** ისაუბრეს, ხოლო **თორნიკე კუპრაშვილმა** ლექსების ის კრებული გაიხსენა, რომელიც გამომცემლობაშივე ჩაიჭრა, კრებულს სახელად „წინაპრები" ერქვა.

აღსანიშნავია **ლუკა ჩარკვიანის**, **თომა გამეზარდაშვილის**, **ელენე წკეპლაძის** მიერ წაკითხული: „ნაშმაკურის წისქვილები", „კაფე რიონთან" თუ „საქართველოს გმირებზე" დაწერილი ლექსები; **გიორგი ხურციძის** მიერ წაკითხულმა, ლადოს სიცოცხლის ჰიმნად ქცეულმა ლექსმა „სალაღობო" დიდი ოვაცია გამოიწვია მსმენელში; მშვენიერმა **ელენე ირემაძემ** კი მრავალმხრივი ნიჭიერება წარმოაჩინა, არაერთი ლექსი წაიკითხა შთამბეჭდავად, არაჩვეულებრივად შეასრულა ლადოს ლექსზე შექმნილი სიმღერა „მე შენ მიყვარხარ და საქართველო", ხოლო ხალხური ცეკვების პოპურში ქართულის სოლისტადაც მოგვევლინა.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ღონისძიების აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს **გური ბოჭორიშვილი**, რომელმაც ახალგაზრდა ლადო ასათიანის სახე შექმნა სცენაზე და მის მიერ წაკითხულმა ლექსებმა, ჩანაწერებმა თუ წერილებმა ცრემლი მოჰგვარა და აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება; საცეკვაო ნომრებმა – ვალსი, ხალხური ცეკვების პოპური, „სამაია" – ულამაზესი შტრიხი შემატა კომპოზიციას, რაც ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის „გიორგობა" ხელმძღვანელის **ნატო ძოწენიძის** დამსახურებაცაა.

ნაბიჯ-ნაბიჯ, ქრონოლოგიურად, ცოცხლდებოდა სცენაზე მეოთხეკლასელთა მიერ „ადრე წასული" პოეტის, ლადო ასათიანის ბიოგრაფიული თუ შემოქმედებითი ცხოვრება. კლასიკურ ფორმაში გამოწყობილმა გოგო-ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ ისინი კლასიკური გიმნაზიის ღირსეული მომავალი თაობაა.

ხანმოკლე იყო ლადო ასათიანის სიცოცხლე, ცოტა იცხოვრა ამ ქვეყანაზე, სიმღერით გამოჩნდა პოეზიის ცაზე და სიმღერაშივე ჩაუქრა ვარსკვლავი, მაგრამ მის ლექსებს ოპტიმისტური მუხტი არასდროს დაუკარგავს. მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია „პოეზიის მარადი გაზაფხული" ულამაზესი ფოიერვერკით დასრულდა.

პირველი საჯარო სკოლის დირექტორმა, **სალომე სარალიძემ** მეოთხეკლასელებს უმაღლესი შეფასება მისცა და გზა დაულოცა, ხოლო ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა **ლალა გელოვანმა**, ბავშვებს ნამდვილი სიურპრიზი მოუწყო – მათი ყოფილი დამრიგებლისა და პირველი კლასის მასწავლებლის, **დალი ვარდოსანიძის** მიერ ამერიკიდან გამოგზავნილი წერილი წაუკითხა. იყო ბევრი ემოცია, სიხარულითა და სინანულით აცრემლებული თვალები.

2017 წლის 2 ივნისს, ლადო ასათიანის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიების მონაწილეებმა და დამსწრე საზოგადოებამ კიდევ ერთხელ შეიგრძნეს ქართული პოეზიის სურნელი, 26 წლის მარად ჭაბუკად დარჩენილი, პოეზიის მარად გაზაფხულად აყვავებული, 100 წლის იუბილარის – ლადო ასათიანის შემოქმედება.

ანა ჟღერია
ქუთაისის მ/ა სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელი;
ტელე-რადიო კომპანია „რიონის" საბავშვო პროგრამების „რიონულას" ხელმძღვანელი

განათლება უცხოეთში

სახელმწიფო პოლიტიკა განათლების სფეროში

დასასრული. დასაწყისი იხ. №21

ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო. ზედამხედველობა ქვემდებარე რგოლზე ხორციელდება ინგლისში – შრომისა და განათლების დეპარტამენტის, უელსში – „ნაციონალური ასამბლეის“, ხოლო ირლანდიაში – საშუალო, უმაღლესი და მომდევნო საფეხურის განათლების და დასაქმების დეპარტამენტის მიერ. განათლების ადგილობრივ კომიტეტებს ექვემდებარება ინგლისის და უელსის სახელმწიფო სკოლები. ხელმძღვანელობისა და დაფინანსების ანალოგიური სისტემა მოქმედებს შოტლანდიაშიც, თუმცა აქ ორი კომიტეტი ზრუნავს სკოლის მმართველობაზე, ჩრდილოეთ ირლანდიაში კი – ხუთი. ბრიტანული საჯარო დაწესებულებების ფინანსირება ხორციელდება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. სწორედ ადგილობრივი ხელისუფლება განაგებს ფონდებს მოსწავლეთა კონტინგენტის რაოდენობის მიხედვით. ბიუჯეტიდან ცალკე გამოყოფილია რესურსები განსაკუთრებულ, პრიორიტეტულ პროგრამებზე, მაგალითად: საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროცესების ხელშემწყობი, მათემატიკის სწავლების ხარისხის ამაღლების მხარდამჭერი და სხვ.

განათლების სისტემის გამოწვევები და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

შიდა მონიტორინგისა და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების პარალელურად, ბრიტანული სკოლების პრესტიჟულობის ერთგვარ მარკერად იქცა IBO-ს (ბაკალავრიატის საერთაშორისო ორგანიზაცია) სერტიფიკატი. აღნიშნული ინსტიტუცია დაარსდა 1968 წელს, შვეიცარიაში. თავად პროექტი მოიცავს 4 საგანმანათლებლო პროგრამას: IB დიპლომი, IB კარიერასთან დაკავშირებული პროგრამა (16-19 წლები), IB საშუალო ასაკის (11-16 წლები) და IB უმცროსი ასაკის (3-12 წლები) მოსწავლეთათვის. პროგრამის მიწოდება შეუძლიათ ავტორიზირებულ სასწავლო დაწესებულებებს. აღნიშნული დიპლომი ფართოდ უხსნის კარს მომავალ თაობას უმაღლესი განათლების მისაღებად.

2006 წელს ბრიტანეთის მთავრობამ, ზედა კლასების მოსწავლეთათვის შესაძლებელი გახადა IB-ის სერტიფიკატის მიღება. პროგრამის ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა მოსწავლის კრიტიკულ აზროვნებაზე, გლობალური პრობლემების გააზრებასა და, მათ შორის, ურთიერთკავშირის განსაზღვრაზე. ბრიტანეთში აპრობირებული და მოქმედი „A-level“-ის გამოცდებისგან განსხვავებით, კურსი უფრო ზოგადი უნარების გამოვლენას მოითხოვს აპლიკანტისაგან. ორი წლის განმავლობაში, ისწავლება 6 საგანი 6 შეთავაზებული საგანმანათლებლო ჯგუფიდან: 1. მშობლიური ენა და ლიტერატურა; 2. უცხო ენა; 3. ინდივიდი და საზოგადოება (ისტორია, გეოგრაფია, ეკონომიკა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციალური ანთროპოლოგია, ბიზნესი, ინფორმაციული ტექნოლოგიები მსოფლიო საზოგადოებაში, ისლამური სამყაროს ისტორია); 4. მათემატიკა; 5. ხელოვნების ერთ-ერთი დისციპლინა (დრამა, თეატრი); 6. კლასიკური ბერძნული ან ლათინური (აღნიშნული ენების ნაცვლად, შესაძლებელია თანამედროვე უცხო ენის ან სხვა ჯგუფიდან სასურველი საგნის არჩევა). ყველა საგანში დგინდება დონე – მარტივი, რთული. აღნიშნული ხორციელდება მოსმენილი საათების რანჟირებით. წელიწადში 120 საათი უმაღლესი ზღვარია.

ბრიტანული კერძო სკოლები აქტიურად ეხმარებიან მოსწავლეებს საერთაშორისო ბაკალავრიატის სერტიფიკატის მიღებაში. აღწერილი საფეხურების გადალახვის შემდეგ მნიშვნელოვანია სპეციალური კურსის გავლა თეორიაში, შემოქმედებითი უნარისა და აქტივობის გამოვლენა. სწავლება ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე ტარდება. თეორიის კურსი მთავრდება ესეს დაწერით ერთ-ერთ დისციპლინაში. დიპლომის მისაღებად გამოცდა არჩეულ საგანში ტარდება. ცოდნის დონე ფასდება 1-დან 7 ქულამდე. საბოლოო ეტაპის დამთავრების შემდეგ, სკოლის დირექცია ახდენს მონაცემთა შეჯერებას, თვლის სტატისტიკურ მაჩვენებლებს და, სასწავლო პროცესის წარმატებით დაგეგმვის თვალსაზრისით, აღნიშნულ ინფორმაციას ეფექტურად იყენებს.

თანამედროვე ბრიტანული სკოლები დაინტერესებული არიან საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებით, რათა ამით ხელი შეუწყონ მასწავლებელთა და მოსწავლეთა განვითარებას, საკუთარი ორგანიზაციული სისტემის ცნობადობის ამაღლებას, კურსდამთავრებულთა კარიერულ აღმასვლას. თავის მხრივ, მსგავსი ინსტიტუციები უზრუნველყოფენ წევრებისა და კანდიდატი სასწავლებლების რეკლამირებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ბრიტანეთში საშუალო სკოლები დაყოფილია რამდენიმე კატეგორიად: 1) მოსწავლეთა სქესის (გოგონათა, ვაჟთა, შერეული სკოლები); 2) დაფინანსების წყაროების (სახელმწიფო, კერძო); 3) მმართველი გუნდის (სახელმწიფო, ინდივიდი ან ინდივიდთა ჯგუფი, რელიგიური კონფესია); 4) რეგიონული და ადმინისტრაციული კუთვნილების (ქალაქის, საგრაფოს...); 5) სასწავლო დროის მოწყობის (დღის და სკოლა-პანსიონი); 6) სასწავლო საფეხურის (დაწყებითი, საშუალო...); 7) პროგრამის მიწოდების პრინციპით (საზოგადო, გაძლიერებული, პროფესიული, სპეციალური საჭიროების...).

სპეციალური საჭიროების სკოლები შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორს. კონტინგენტის თავისებურებისა და სამედიცინო დიაგნოზის მიხედვით, გამოყოფილია მოსწავლეთა 4 ჯგუფი, სირთულეებით: 1)კომუნიკაციასა და ურთიერთობაში; 2) კოგნიტიურ სფეროსა და დასწავლაში; 3) სოციალურ, ემოციურ, მენტალურ ჯანმრთელობაში; 4) სენსორული და ფიზიკური პარამეტრების განვითარებაში.

ბრიტანულ კერძო სექტორში არსებობს სპეციალური სკოლები განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვებისათვის, მაგალითად: საეკლესიო გალობის, მუსიკალური, საბალეტო, დრამატული ხელოვნების, სამხედრო... უმეტესი მათგანი პანსიონის ტიპისაა.

აღსანიშნავია ისიც, რომ კერძო სკოლებთან მიმართებაში ხშირად გამოიყენება ტერმინი „დამოუკიდებელი სკოლა“, რაც მართებულია იმ შემთხვევაში , როცა დაწესებულება მხოლოდ ფინანსურადაა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი, ხოლო განათლების მიწოდების ვადებისა და თავისებურებების კუთხით, გარკვეულ საკანონმდებლო ჩარჩოებშია მოქცეული.

განათლების სისტემის მოწყობა და სტრატეგია

გაერთიანებულ სამეფოში სწავლა სავალდებულოა 5 წლიდან (ჩრდილოეთ ირლანდიაში – 4 წლიდან) 16 წლის ასაკამდე. კანონმდებლობით, ყველა ბავშვი, განსაზღვრული პერიოდით მცხოვრები ქვეყნის ტერიტორიაზე, იღებს განათლების უფლებას. სკოლაში დასწრებაზე პასუხისმგებელი პირია მშობელი ან მეურვე. 16 წლის ზევით ზოგადი განათლების მიღება აღარ არის აუცილებელი. სტატისტიკის მიხედვით: 18 წელს მიღწეული დიდი ბრიტანეთის მოქალაქეთა 70% საუნივერსიტეტო ხარისხის შეძენის სურვილს გამოთქვამს, 20% სახელმწიფო შრომითი მომზადების პროგრამის გავლას აპირებს, 10% წყვეტს სწავლას და დასაქმების ცენტრს მიმართავს. რეალურად, ახალგაზრდა კონტინგენტის ერთი მესამედი დათქმულ ვადებში ასრულებს საუნივერსიტეტო კურსს. შეწყვეტილი პროგრამის გაგრძელება შესაძლებელია ზრდასრულ ასაკში, ძირითადი სამუშაოს პარალელურად, ოღონდ ამ შემთხვევაში ხანგრძლივობა განსხვავებულია.

ინგლისსა და უელსში შემუშავებული განათლების ნაციონალური კურიკულუმი ხუთ საკვანძო საფეხურს მოიცავს, რომლის მიხედვითაც ზოგადი განათლება იყოფა შემდეგ ეტაპებად:

- საწყისი ეტაპი – დასაწყისი საფეხური-Primary School (Infant School) სწავლის პირველი წელი, 5-7 წლის ასაკის ბავშვებისათვის;
- III-IV-V-VI წელი – დასაწყისი საფეხური-Primary School (Junior School), 8-11 წლის მოსწავლეებისათვის;
- VII-VIII-IX წელი – მომდევნო საფეხური-Secondary School (Middle School), 12-14 წლის მოზარდებისთვის;
- X-XI წელი – მომდევნო საფეხური-Secondary schools (Upper School), 15-16 წლის მოზარდებისთვის;
- XII-XIII წელი – დამამთავრებელი საფეხური-Sixth Form College, 17-18 წლის კონტინგენტისთვის.

კერძო სექტორის მოწყობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი სწავლების მაღალი დონე და თითოეულ კლასში მოსწავლეთა მცირე კონტინგენტია (სახელმწიფო სკოლების უმცროს კლასებში მაქსიმალური რაოდენობა 28-30 ინდივიდით განისაზღვრება). შოტლანდიისა და ინგლისის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვებს ზოგადი გასაუბრების საფუძველზე იღებენ, ჩრდილოეთ ირლანდიაში უფრო მკაცრი არჩევითობის პრინციპი გამოიყენება. დამოუკიდებელ სკოლას შეუძლია დამატებითი ტესტირება ან გამოცდის ჩაბარება მოითხოვოს.

კერძო სკოლების გაერთიანებები და ხარისხის შიდა კონტროლი

2000-2009 წლებში, ბრიტანეთში, გამოვლინდა სკოლადამთავრებულთა აკადემიური მომზადების დონის დაქვეითების ნეგატიური ტენდენცია. მაგალითად, 2000 წლის PISA-ს (Programme for International Student Assasment) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბრიტანეთმა 32 ქვეყანას შორის მე-7 ადგილი დაიკავა, ხოლო 2009 წლისთვის დაქვეითდა 24 ნიშნულამდე 66 შესაძლო ვარიანტიდან. დღის წესრიგში დადგა გარკვეული სტრატეგიის შემუშავება. მონაცემთა ანალიზის შედეგად, გამკაცრდა მონიტორინგი განათლების სისტემაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციაზე.

კვალიფიცირებული პედაგოგის სტატუსი – QTS (Qualified Teacher Status – სავალდებულოა დიდი ბრიტანეთის (ინგლისსა და უელსში) სახელმწიფო და სპეციალური განათლების მიმწოდებელ სასწავლო დაწესებულებებში.

პედაგოგების შერჩევა და მათი სამუშაოზე აყვანა კერძო სკოლის ხარისხისა და რესურსების მართვის განყოფილების პრეროგატივაა. ყურადღება ექცევა: კვალიფიკაციის დონეს, გამოცდილებას, ყოფილი დამსაქმებლის მიერ გაცემულ სარეკომენდაციო წერილს. გასაუბრებისას მოწმდება აპლიკანტის პიროვნული თვისებები: ტოლერანტობა, აკურატულობა, ტაქტიანობა, მოტივაცია, თავშეკავების და, საჭირო შემთხვევაში, ინიციატივის გამოვლენის ტენდენცია, გუნდური და დამოუკიდებლად მოქმედების უნარი; მოსწავლეებთან, ხელმძღვანელობასთან, კოლეგებთან და მშობელთა კომიტეტთან ურთიერთობის მანერა. კონფესიურ სკოლაში, კადრების შერჩევისას, ითვალისწინებენ მსურველის რელიგიურ კუთვნილებას.

პერსონალის გარდა, შიდა მონიტორინგი შეიძლება შეეხოს მთლიან სკოლასაც. 1879 წელს დაარსდა ორგანიზაცია – „დამოუკიდებელ სკოლათა ასოციაცია“ (ISA), რომელიც 409 უფროს მასწავლებელს და 1289 სასწავლო დაწესებულებას აერთიანებს. ეს ყველაზე ძველი და პრესტიჟული ორგანიზაციაა განათლების სფეროში, მისი წევრობის უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია აკრედიტაციის გავლა. პერიოდული დათვალიერების დროს, ინსტრუქტორები, რამდენიმე დღის განმავლობაში, ამოწმებენ სასწავლო შენობა-ნაგებობებს, ინვენტარს, პედაგოგთა კვალიფიკაციას, ცხოვრებისა და სამუშაო პირობებს, ფინანსურ მდგომარეობას... მიღებული მონაცემები ჯამდება და გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები. ხარვეზების აღმოსაფხვრელად ინიშნება სპეციალური ტრენინგები. ჩვეულებრივ, ზედამხედველობით საქმიანობას ყოფილი დირექტორები ეწევიან.

პრესტიჟული კერძო სკოლების ხელმძღვანელები „დირექტორთა ასოციაციაში“ არიან გაერთიანებული. მისი ოფიციალური ორგანო გამოხატავს კერძო საგანმანათლებლო სექტორის ინტერესებს. რეგულარულ შეკრებებზე განიხილება: სახელმწიფო სტანდარტები და მოთხოვნები, სიახლეები საგანმანათლებლო სივრცეში, ხდება გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციების გაცემა, თანამშრომლობა.

ბრიტანეთში რეგისტრირებული საგანმანათლებლო ანალიტიკური ორგანიზაციები კერძო სექტორს სთავაზობენ: მოსწავლეთა და მასწავლებელთა გადამზადება-ტესტირებას, სპეციალურ პროგრამებს ხარისხის გაუმჯობესებისა და მრავალრიცხოვან სეგმენტზე გასვლის მიზნით. ისინი ხშირად მართავენ კონფერენციებს, ღონისძიებებს კონკურენტების, ბიზნესისა და სახელმწიფო მმართველი რგოლის წევრებთან შესახვედრად.

2004 წლიდან, ბრიტანეთში, დაარსდა და მოქმედებს ორგანიზაცია „Cognita“, მისი დამფუძნებელი ყოფილი სკოლათა ზედამხედველ-ინსპექტორი სერ კრის ვუდჰედია. ახალი კამპანიის ფარგლებში, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ რამდენიმე კერძო სკოლის ერთიანი მმართველი გუნდის სადავეებში მოქცევის მცდელობა დაიწყო. პირველი აღმოჩნდა „Quinton House“. დღესდღეობით, ამ დიდ ოჯახში 70-მდე სკოლაა გაერთიანებული 10-მდე სახელმწიფოდან, საერთო ჯამში, 30.000 მოსწავლით. პროექტის ამბიციურ გეგმებში შედის, სწავლის ხარისხის დონის შეუცვლელად, კონკურენტუნარიანი, საშუალო ფენისთვის ხელმისაწვდომი სასწავლო დაწესებულებების ქსელის შექმნა.

„Cognitas“ მმართველი გუნდი ცდილობს, აღმოფხვრას განათლების სისტემაში არსებული ბიუროკრატული ატავიზმები, თავიდან აიცილოს გაზრდილი დანახარჯები და სწავლების ტენდენციური ფორმატი. იგი სარგებლობს საერთაშორისო ორგანიზაცია „GEMS Education“-ის რჩევებით, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია კერძო და სახელმწიფო სკოლების თანამშრომლობა განათლების სამინისტროსთან, ინტელექტუალური პროდუქტის მიწოდების დონის ამაღლების მიზნით. აღნიშნული ინსტიტუცია, რამდენიმე ათეული წელია, მართავს დამოუკიდებელ და საჯარო სექტორში არსებულ პროცესებს, სახავს კრიზისიდან გამოსვლის ეფექტურ და უმოკლეს გზებს. იგი აერთიანებს 1000-მდე მასწავლებელს სამოცზე მეტი ქვეყნიდან. მრავალწლიანი ტრადიციის შესაბამისად, კერძო სკოლების მონიტორინგზე ზრუნავს HMIe (Her majestys Chief Inspeqtorate of Education) – მისი უდიდებულესობა დედოფალ ელისაბედის ინსპექცია, რომელიც, ფაქტობრივად, OFSTED-ის (the Office for Standarts in Education), განათლების სისტემაში სტანდარტების ოფისის ქვეგანყოფილებაა. შემოწმება ტარდება 6 წელიწადში ერთხელ (თუ დარღვევები გამოვლინდა – უფრო მოკლე შუალედით). შედეგად დგება დოკუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომია მოთხოვნის შესაბამისად. კონტროლი ძალიან მკაცრია, მაგრამ საუკეთესო შეფასების შემთხვევაში, დაწესებულებას ენიჭება პრესტიჟული სტატუსი – „ბიკონ-სკოლა“ (Beacon-School, ანუ სკოლა შუქურა). ამავდროულად, ISIS-დამოუკიდებელ სკოლათა საინფორმაციო სამსახური და კარიერის დაგეგმვის ცენტრი-ISCD იძლევიან რეკომენდაციებს მოსწავლეთა მომავლის ეფექტურად მოწყობის მიმართულებით.

ბრიტანული კერძო სკოლების მმართველობის ძირითადი პრინციპები

დიდი ბრიტანეთის კერძო სკოლებში მართვის სადავეები მოქცეულია კონკრეტული პიროვნების ან ორგანიზაციის ხელში. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რესურსების განაწილებაზე. იგი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სკოლის ფინანსების განკარგვის და სტრატეგიის მიმართულებით, აგვარებს კონფლიქტურ სიტუაციას, საზღვრავს დისციპლინური სასჯელის ფორმას, მეთვალყურეობას უწევს პროცესების მიმდინარეობას. მმართველობა არის საბოლოო არბიტრი, რომელიც სწრაფ რეაგირებას ახდენს ცვლილებებზე.

სკოლის უშუალო მმართველია დირექტორი, რომელიც საბჭოს პოლიტიკის ფარგლებში მოქმედებს. იგი ირჩევს თანამშრომლებს, წყვეტს გარკვეულ პრობლემებს, საზღვრავს სასწავლო გეგმის შინაარსს და ათანხმებს სამოქმედო გეგმას გაერთიანებულ შეკრებაზე. ხელმძღვანელობა მუდმივ კონტაქტშია პედაგოგიურ კოლექტივთან, მოსწავლეებთან, შეუძლია რესურსების მართვა. ბრიტანულ სკოლაში აღიარებული ლიბერალური პრინციპების თანახმად, კრიტიკული სიტუაციების დროს, განხილვაში ერთვება მოსწავლე, ადგილობრივი მართვის ორგანო, მშობელი ან მეურვე (თუმცა, მსგავსი სიტუაციები უკიდურეს იშვიათობას წარმოადგენს).

ხელმძღვანელობის ვერტიკალური პრინციპის მიუხედავად, ყველა რგოლი ვალდებულია, პატივი სცეს თანამშრომელთა აზრს, გაითვალისწინოს შეთავაზებული ან არგუმენტირებულად დაასაბუთოს საკუთარი ქმედების მიზანი და სისწორე. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია კონკრეტული დარგის სპეციალისტთა მოწვევა, კონსულტაციების გავლა. ნებისმიერი ქმედება მიმართულია სასწავლო დაწესებულების, მისი აღსაზრდელების, კოლექტივის და ხელმძღვანელობის ინტერესების დაცვისაკენ.

მმართველობის სტილის დადგენის მიზნით, ცალკე აღსანიშნავია დაფინანსების წყარო. მიუხედავად იმისა, რომ სწავლება ფასიანია, ხშირად აუცილებელი ხდება დამატებითი სახსრების მოძიება. სახელობითი სტიპენდიებისა და გრანტების დაწესება ნიჭიერი და ხელმოკლე ოჯახის ბავშვებისათვის ძირძველი ინგლისური ტრადიციაა (მაგ; 1280 წლიდან იტონის კოლეჯს ჰყავს 70 „სამეფო სტიპენდიანტი“. მათი მოხსენიებისას, სახელისა და გვარის გვერდით, მიეთითება აბრევიატურა „KS“ (Kings Stip.). კერძო სკოლების წლიური გადასახადი ძალიან ფართო საზღვრებში ვარირებს, საშუალოდ – 6000-9000 ფუნტი ტრიმესტრში. მაგალითად: რაგბის კერძო დღის სკოლაში ერთი წლის ღირებულება 20.094 GBP-ია, ხოლო მისსავე პანსიონში – 32.025 GBP (2017 წლის მონაცემით, დღის სექტორზე სწავლობს 77 ვაჟი , 64 გოგონა, ხოლო პანსიონში – 369 ვაჟი, 296 გოგონა).

მარიამ ძუთათელაძე
ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლის „XXI საუკუნე“ დირექტორი

„დამჭერი მოთამაშის“ პირველი დიდი წარმატება

ერთ არაჩვეულებრივ გოგონაზე მინდა გიამბოთ. იგი კომაროვის სკოლის 2017 წლის კურსდამთავრებული, ოქროს მედალოსანი და აწ უკვე პენსილვანიის უნივერსიტეტის სტუდენტია 250 000-იანი დაფინანსებით. 2010 წლის სექტემბერი, 21 ვაჟი და 4 გოგონა, აი ასეთი შემადგენლობით შევუდექით სწავლას. ერთ-ერთი გოგონა – **მერი კავთელიშვილი**, პატარა, ბელურასავით მობუზულ, გამხდარ, ანდერსენის პატარა იხვის ჭუკს ჰგავდა... თუმცა, თუ დაუკვირდებოდი, თვალები ჰქონდა ძალიან მეტყველი და პირველი გაკვეთილის დამთავრებისთანავე მივხვდი, რომ ამ პატარა იხვის ჭუკისგან ულამაზესი გედი დადგებოდა, არა მარტო ფიზიკურად, გონებრივადაც. მახსოვს, მე-7 კლასშივე, ქართველი მწერლის, გოდერძი ჩოხელის ნაწარმოების ინსცენირებისას, ყველაზე რთული როლი, სოფლელი მოხუცი ქალის როლის შესრულება მოინდომა, წარმოდგენა არ მქონდა, თუ როგორ შეძლებდა ეს პატარა, კაფანდარა გოგონა მოხუცის როლის შესრულებას. არ დამიშლია, მისი თვალები ისე შემომცქეროდნენ, რომ დაშლა არაფრით არ შეიძლებოდა. მისმა შესრულებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

სწავლის პირველსავე წელს დაამტკიცა, რომ ძალიან უყვარდა ფიზიკა, ისე უყვარდა, რომ არ ეზარებოდა გაკვეთილების შემდეგ დარჩენა და თავისი თანაკლასელებისთვის ფიზიკის გაუგებარი საკითხების ახსნა. თანაკლასელ **გიორგი ჩუბინიძესთან** ერთად ადგენდა ტესტებს, აწერინებდა შემაჯამებელ წერას, უტარებდა სასკოლო წერის იმიტაციას, შემდეგ უსწორებდა ტესტებს და აძლევდა მითითებებს. მისი თანაკლასელების წარმატება ქვიზების ჩაბარებისას, მასწავლებელთან ერთად, მერის დამსახურებაცაა. უაღრესად სამართლიანია, ისეთი გამბედავი, რომ მოსწავლეთა მშობლებსაც კი დაუპირისპირდა მშობელთა კრებაზე, როცა მათ საყვედური გამოთქვეს რუსული ენის მასწავლებლის მიმართ, თითქოს ის გაკვეთილს ვერ ატარებდა სათანადოდ და მოსწავლეები ვერ იგებდნენ ახსნილს. მერიმ დაიცვა სამართლიანობა და არ მოერიდა თავისი ამხანაგებისა და მშობლების გასამართლებას... თუმცა ამ ინციდენტს არ მოჰყოლია უარყოფითი შედეგი თანაკლასელთა მხრიდან. მოსწავლეებსა და მშობლებს შერცხვათ თავიანთი საქციელის.

ტექნიკური საგნების სიყვარულს არ შეუშლია მისთვის ხელი, რომ ჰყვარებოდა ლიტერატურა, ხშირად შემიმჩნევია სასკოლო სახელმღვანელოს ქვეშ ამოდებული და დამალული მხატვრული ლიტერატურა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაკვეთილს, სავალდებულო მასალას „გაქცეოდა“... რატომღაც მგონია, რომ მას კიდევ არ გამოუვლენია სრულად თავისი შესაძლებლობები, მეოცნებე გოგონაა, უზომო წარმოსახვითა და იდეებით, ამიტომ მისგან კარგი მწერალიც გამოვა. მჯერა, რომ ის აუცილებლად იპოვის დროს ამისთვის.

მერი რომ ჭკვიანია, გონიერი და ბეჯითი, ამის მტკიცებას არ დავიწყებ, ეს ისედაც ნათელია. ვისაუბრებ მერის და საერთოდ, სკოლის წარმატების საიდუმლოზე. მშობელი, მასწავლებელი, კოლეგები, გარემოცვა (თანაკლასელებს ვგულისხმობ), ამას დამატებული დირექციის ხელშეწყობა, განათლების სამინისტროს სწორი კურსი... აი, ამათი ერთობა თუ არ მოხდა, ანუ ზემოთ ჩამოთვლილნი თუ არ გაერთიანდნენ, არაფერი გამოვა... წარმატებას ვერ მიაღწევ. მერი იყო კარგი მარცვალი, რომელიც კარგ ნიადაგში ჩავარდა, კარგი თანაკლასელების გარემოცვაში. ხომ გახსოვთ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“, – „ცხოვრება თამაშია, ყმაწვილო, თამაში... თუ იმ მხარეს მოხვდი, სადაც კარგი მოთამაშეები არიან, იცოცხლე, კარგი თამაში იყოს!.. მაგრამ თუ იმ მხარეს მოხვდი, სადაც ცუდი მოთამაშეებია, მაშინაც თამაშია?! – მაშინ რაღა თამაში გამოვა?!“

ასევე წარმატებულად „ითამაშა“ მერიმ ბიზნესგეგმის შედგენაში. თანაკლსელებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული პროექტში **Junior Achievement**/ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო (მეწარმეობის საფუძვლების სწავლება). იყო გუნდის ლიდერი და კრეატიული იდეის ავტორი. მან შეძლო და აქციონერებად გაიხადა ისეთი წარმატებული ადამიანები, როგორებიც არიან **მამუკა ხაზარაძე** და **თემურ ჭყონია**, თავის გუნდთან ერთად წარმატებით განახორციელა პროექტი „ქ. თბილისის 199-ე საჯარო სკოლის გუნდი CoCean 3D ხელების სისუფთავისთვის“, გაიმარჯვა და გუნდთან ერთად გაემგზავრა გერმანიაში.

მიზნის მისაღწევად დაბრკოლებებს არ უშინდება, მისი პრინციპია: ყველაფერი ან არაფერი. უაღრესად განათლებულია, აქვს საკუთარი, განსხავავებული აზრი და შეხედულება ყველაფერზე, იქნება ეს მუსიკა, კინო, განათლება, რელიგია თუ საზოგადოების ჩვეული ცხოვრება. წარმატებით ითამაშა სკოლის სცენაზე შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ და „საშობაო ზღაპარი“, ხოლო იტალიაში გამართულ ინტერნაციონალურ ფესტივალზე წარდგენილ სპექტაკლში „ოქროს საწმისის ლეგენდა“, მედეას როლი შეასრულა.

მერი ასევე გახლდათ ეროვნული კინოცენტრის ინიციატივით და ორგანიზებით თბილისში გამართულ საერთაშორისო საბავშვო კინოფესტივალის „ჯიფონი საქართველოს“ ერთ-ერთი აქტიური მონაწილე.

იგი მზრუნველი და მოსიყვარულეა, ალბათ იმიტომ, რომ ორი უმცროსი და ჰყავს. სასკოლო ექსკურსიებზე თანაკლასელ ბიჭებზე მზრუნველობდა, ბუტერბროდებს უმზადებდა და პიკნიკის მოწყობაში მეხმარებოდა. ჩემი მარჯვენა ხელი იყო, როცა სკოლაში რამე ღონისძიება ტარდებოდა. უბრალო წვრილმანიც კი არ ავიწყდებოდა. ყველაფერზე თვითონ ზრუნავდა, ოთახისა თუ სცენის დალაგებასა თუ მორთვაზე. უსაზღვრო ფანტაზიასთან ერთად მარჯვე ხელებიც აქვს. ძალიან უყვარს ცხოველები, განსაკუთრებით, ძაღლები. ქუჩის ძაღლებისთვისაც კი დაჰქონდა სახლიდან საკვები. ერთხელ (მე-7 კლასში) ისე მოხდა, რომ გაკვეთილზე არ გამოცხადდა. მშობლებს დავურეკე, მერის მამამ მითხრა, რომ სკოლის კარამდე თავად მოაცილა, მაგრამ მერი კარებიდანვე გაბრუნდა სახლში, რადგან შინ ავადმყოფი ძაღლი ეგულებოდა. ძაღლიც კი არ მიატოვა მარტო გასაჭირში, მშურს კიდევაც ამერიკის განათლების სისტემისა, რომელიც უჯერებს თავის მწერალს, ჯერომ სელინჯერს და ცდილობს მოძებნოს „დამჭერი მოთამაშეები თავისი ჭვავის ყანისთვის“.

მჯერა, რომ მერი კავთელიშვილი არა მხოლოდ თავისი ცოდნითა და ინტელექტით მოხიბლავს ნებისმიერი სასწავლებლის ადმინისტრაციასა და თანაკურსელებს, არამედ თავისი საოცარი თვისებებით მიიპყრობს ყურადღებას. მე უკვე წარმოსახვითაც კი ვხედავ იმ მადლობის წერილებს, პენსილვანიის უნივერსიტეტიდან რომ მიიღებს ჩვენი სკოლა და არ ინანებს მერისთან ურთიერთობით, არც იმ თანხით – 250 000 ათასი დოლარით, რომლითაც მერის სწავლას აფინანსებს. მჯერა, რომ ქვეყანას ეყოლება მეორე მარია კიური, თუმცა, არა, მეორე რატომ, მერი იქნება პირველი მერი კავთელიშვილი. ცოტათი კიდევაც მშურს ამერიკისა, რადგან მერიმ ჩვენთან მხოლოდ ინტერნეტით უნდა იურთიერთოს. მისი თვალები, მისი ენთუზიაზმი, მისი ძალა და შემართება მე, როგორც კლასის დამრიგებელსა და მასწავლებელს, ყოველთვის მმატებდა ძალას წინსვლისთვის.

დაბოლოს, მინდა გითხრათ, რომ მერი არის ადამიანი, რომელიც ყველგან, ნებისმიერ ქვეყანასა და უნივერსიტეტში იქნება ერთგული, ღირსეული და საიმედო ადამიანი გარშემომყოფთათვის. ის იქნება ადამიანი, რომელიც არ შეუშინდება დაბრკოლებებს, დადგება ციცაბო კლდის პირას და დაიჭერს ყველას, ვინც დაღმა დაშვებას დაიწყებს. მოკლედ, ის იქნება დამჭერი მოთამაშე, ჯერჯერობით, ამერიკის პენსილვანიის უნივერსიტეტში. ამერიკა, გილოცავ!

ლია გოგოხია
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სასკოლო აქტივობა

ნიკო კეცხოველის პრემიის მოსაპოვებლად

პროექტის სახელწოდება: „აღმოაჩინე საქართველო“

31 მაისს №190 საჯარო სკოლის გუნდმა „მაძიებლები“, ეკოკლუბთან და ჩუღურეთის დასუფთავების სამსახურთან ერთად (**გია ხმიადაშვილი, გენადი მანუკიანი, თამაზ ქართველიშვილი**), დაასუფთავეს და გაწმინდეს ხუდადოვის ტყის მიმდებარე ტერიტორია. აქცია მიმდინარეობდა პროექტის ფარგლებში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გარემოს დაცვით აქტივობაში სიამოვნებით და ხალისით ჩაერთნენ მოსწავლეები და ბუნებას გამოექომაგნენ. მათ კარგად ესმით დედაბუნების მნიშვნელობა ჩვენს ეკოლოგიურად არაჯანსაღ გარემოში. უნდა გვახსოვდეს, რომ ბუნება ვერ იტანს უხეშ შეცდომებს, ვერც ადამიანის ვანდალურ ქმედებებს. მას გაფრთხილება და დაცვა სჭირდება.

მოსწავლეების მიერ განხორციელებული აქტივობა სწორედ ამ მიზნებს ემსახურება.

ჩვენს პატარა ქვეყანაში მწვანე საფარი ნელ-ნელა ქრება, მის ადგილს იკავებს სოკოებივით გამრავლებული ცათამბჯენი კორპუსები. რად გვინდა ცათამბჯენები, თუ შეუძლებელი იქნება სუნთქვა და სიცოცხლის შენარჩუნება ჩვენს ქალაქში. ამგვარი საფრთხე რომ არ დაემუქროს ხუდადოვის ტყეს, აუცილებელია, მას ტყე-პარკის სტატუსი მიენიჭოს.

ჩვენი აზრით, შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა გაითვალისწინონ ეკოლოგიური საშიშროების საფრთხე და დროულად მოახდინონ რეაგირება აღნიშნულ პრობლემაზე.

თბილისის №190 საჯარო სკოლის გუნდის „მაძიებლები“ წევრებს, ხუდადოვის ტყის ერთი მონაკვეთის გაწმენდის შემდეგ, გაუჩნდათ სურვილი, აღნიშნული ადგილი მოენიშნათ და შემდეგ კვირას, პროექტში მონაწილე სკოლების გუნდებთან ერთად, დაესრულებინათ სამუშაო. შემდგომი აქტივობა 7 ივნისს დაიგეგმა და ჩატარდა.

პროექტში მონაწილე ბავშვები ხალისით ასრულებენ დავალებებს, მიაჩნიათ, რომ მშობლიური ბუნების მოვლა-გაფრთხილება ყველა ჩვენგანის აუცილებელი და მიზანმიმართული საქმიანობაა. პროექტის ერთ-ერთი მონაწილე, მე-10 კლასის მოსწავლე **ანა ქუმსიშვილი** იწონებს ამგვარ საქმიანობას და ფიქრობს, სხვებთან ერთად, დაიცვას ეს მშვენიერი ტყე ადამიანთა ვანდალიზმისგან. უნდა გაკეთდეს გამაფრთხილებელი ბანერი, დაიდგას ნაგვის ბუნკერი, დამონტაჟდეს ვიდეოკამერა და დაწესდეს ჯარიმა ამ ადგილის დაბინძურების გამო. მოსწავლე **ნინო სილაგაძის** აზრით, საზოგადოება უნდა გამოფხიზლდეს და სისუფთავის დაცვაზე მონიტორინგი დააწესოს.

მოსწავლე **მანანა ნათენაძე** ფიქრობს, რომ განხორციელებული აქტივობა დაეხმარება საზოგადოებას გაიაზროს აღნიშნული ქმედება, შემოუერთდეს ბუნების დაცვით აქტივობებს და შეინარჩუნოს პირველყოფილი სილამაზე. როცა მოსწავლეთა აზრებს ვეცნობი, უფრო მეტად ვცდილობ, ჩავრთო ისინი სამოქალაქო აქტივობებში, რათა მათ უკეთ შეიმეცნონ და შეისისხლხორცონ მშობლიური ბუნებისადმი სიყვარული, მიხვდნენ, რომ ბუნება ადამიანებს არ პატიობს უხეშ შეცდომებს.

მსოფლიოში აქტიურადაა გაშლილი ბუნების დაცვის პროპაგანდა. ამ მხრივ, უნდა ამაღლდეს მოქალაქეთა შეგნება, დემოკრატიული საზოგადოების შექმნა და განვითარება აუცილებელი პირობაა ქვეყნის წინსვლისა და სიცოცხლისუნარიანობისათვის.

ჩვენი პროექტი „აღმოაჩინე საქართველო“ გრძელვადიანია. განხორციელებული აქტივობები განთავსებულია საქართველოს სატყეო პორტალზე http://forestry.ge/.

ქეთევან ჭელიძე
ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე

გამოცდილება

პირველი სიყვარული

გამოკვლევებით დადგენილია, რომ, დაახლოებით, 11-13 წლის ასაკიდან მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთგაგება და მშობლების წინაშე გულახდილობა თანდათან კლებულობს.

რა განაპირობებს ამას?

„მოზარდის სულიერ ცხოვრებაში საკმაოდ მძლავრ ნაკადად იჭრება ემოციები, განცდები, რაც სათავეს სქესობრივი მომწიფებიდან იღებს. ეს განცდები პირველად გარდამავალ ასაკში იჩენს თავს და მოზარდის ფსიქიკას თავისებურ დაღს ასვამს.

სიყვარული, რომელსაც პირველად მოზარდი გარდამავალ ასაკში განიცდის, უანგარო და ხორციელი ვნებით დაუმძიმებელია. ესაა უწმინდესი გრძნობა, რომლის განცდაც საერთოდ შეუძლია ადამიანს. მოზარდი მას დიდი სიფაქიზით ეპყრობა, ამიტომ, როცა ამ გრძნობას მესამე პირი უხეშად ეხება, მოზარდში ჩნდება ღრმა და მძიმე განცდები, რომელთა კვალიც მთელი ცხოვრების მანძილზე არ ქრება“ (შ. ჩხარტიშვილი).

პროფესორი იგორ კონი მეგობრობისა და სიყვარულის ამ გრძნობას „ადამიანური თანადგომისა და ურთიერთგაგების შეუცვლელ სკოლას“ უწოდებს. ამავე დროს, იგი მიუთითებს იმაზე, რომ მოზარდებს შფოთიანობა ყველაზე მეტად მშობლებთან და უფროსებთან ურთიერთობაში ემართებათ. კონი ამას ხსნის, არა მხოლოდ აღზრდაში დაშვებული შეცდომებით, არამედ მშობელთა და მასწავლებელთა უუნარობით, გაითვალისწინონ და შეეგუონ თავიანთი შვილებისა და მოსწავლეების შეცვლილ სულიერ მოთხოვნებს.

მართლაც, მშობლები, მასწავლებლები ხომ არ ვსაუბრობთ შვილებთან, მოსწავლეებთან პირველ სიყვარულზე და რაც მთავარია, იმ სულიერ ტრავმაზე, რომელიც ხშირად პირველი სიყვარულის მარცხს მოჰყვება ხოლმე და არც ის ვიცით, როგორ გამოვიყვანოთ ამ მდგომარეობიდან. არც საკუთარ სიყვარულზე მოვუთხრობთ – როგორ შეგვიყვარდა მისი მამა? ან მამას – დედა.

მახსოვს, რიგაში შეხვედრაზე, რომელსაც იგორ კონი ხელმძღვანელობდა, სქესობრივი და სექსუალური აღზრდის შინაარსზეც ვიკამათეთ და შევთანხმდით: სქესობრივი აღზრდა ბიჭის – მამაკაცური ღირსებით და გოგოს – ქალური ღირსებით აღზრდაა, რაც ძირითადად მშობლების და ნაწილობრივ მასწავლებლების მოვალეობაა, ხოლო სექსუალური აღზრდა კომპლექსურია, რაც მასწავლებლის, სექსოლოგის და ვენეროლოგის ერთობლივ მუშაობას მოითხოვს.

დიდაქტიკური მასალა

„მე ის ვარ“ – ნაირა გელაშვილის ნაწარმოების მიხედვით – (VIII-IX კლასები)

ბიჭი 20 წლისაა, გოგო – 13-ის. მას ნია ჰქვია, გვარად ღელიშვილია. ისინი ვაკეში ერთმანეთის მოპირდაპირე, ოთხსართულიან სახლებში ცხოვრობენ. მათი ფანჯრები ერთმანეთს უყურებს.

– რას მიშტერებიხარ? გარეთ ყურების დროა? სკოლაში გაგვიანდება! რატომ აგილაგებია კაკტუსები ფანჯრის რაფიდან? ჩქარა! – უჯავრდება დედა ნიას.

ნია მის ფანჯარაში გამოჩენას ელოდება. ნიას აინტერესებს, რა არის სიყვარული. იატაკზე მორთხმულს სამივე წიგნი ფეხებზე უდევს. მარიამისგან გაიგო – რუსულად ამას „ლიუბოვ“ ჰქვია, მაინც ვერ იგებს ვერაფერს.

– რა არის ეს, მაინც რა უბედურებაა? რამდენ ხანს გრძელდება, რანაირი გართულებები აქვს და რით შეიძლება დამთავრდეს?

– რას ათვალიერებ ნია? ლექსიკონს?

– აღარაფერს აღარ სწავლობ და ლექსიკონი რა ჯანდაბად გინდა?

ორი-სამი დღე ბიჭს თვალი ვეღარ მოჰკრა ფანჯარაში. როგორც იქნა გამოჩნდა. სქელი ჯემპრი აცვია, ყელი აქვს შეხვეული, ჩანს, რომ ახველებს.

უმცროსი ძმა გამოდის აივანზე, – „რა ჯანდაბა გინდა აივანზე ამ სიცივეში? შედი შინ!“

მეგობრის რჩევით, თავდავიწყებით კითხულობს ნია გალაკტიონის ლექსებს:

„ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა,
ჭაღარა გულის ზმანება ავი,
ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,
ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი...
გაივლის კიდევ ცამეტი წელი,
მოახლოვდება გზა ოცდაექვსის,
მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი,
ატირდება დრო და ჩემი ლექსი,
ოჰ, როგორ მიდის ახალგაზრდობა –
დაუნდობელი სურვილი ლომის!
და ყოველივე როგორ ნაზდება,
როცა ახლოა მზე შემოდგომის“.

შეიძლება 13 წლის გოგო დიდებს შეუყვარდეთ? ნეტავ თვითონ რამდენი წლის იყო ამ დროს? დიდი იქნებოდა, თორემ ასეთ ლექსს ხომ ვერ დაწერდა. ან რატომ მოიკლა თავი? ეს სკოლაში უთხრეს. როცა მასწავლებელს ჰკითხა, გალაკტიონის ლექსებს ვისწავლით თუ არაო. შეიძლება, მართლაც ის 13 წლის გოგო შეუყვარდა, გოგოს კი – არა და ამიტომაც მოიკლა თავი.

ისევ კითხულობს გალაკტიონს... და აი, ახლა „მერი“? ის ცამეტი წლის გოგო სადღა გაქრა? აღარსად ახსენებს? გადაუყვარდა და ისევ მერი უყვარს? მე მგონი, ამ კაცს არავინ არ უყვარდა... დავიღალე...

და ისევ დედა...

– რას შვრები, მორჩი გაკვეთილებს? თუ მორჩი, მაშინ მოწესრიგდი და დაიძინე, დროს ნუღარ კარგავ, ნუ იგვიანებ, აბა დროზე!

დამაჯერებელია ნაირა გელაშვილის გაფრთხილება 13 წლის გოგონების მიმართ...

გზაჯვარედინზე, ფალიაშვილისა და ბერძენიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, შეყვარებულის გამოჩენას, თვალის მოკვრას რომ ელოდებოდა ნია, ვიღაც მოინტელიგენტო, სათვალიან კაცს შეეფეთა და იმან ჩუმად, ტკბილად საზიზღრობა შესთავაზა. „ერიდე სადარბაზოებს ნია. მითუმეტეს ჩაბნელებულებს. სადარბაზოების ბნელ, ბინძურ სულს. ჰო!“

მწერალი მხატვრულად, დამაჯერებლად გვიხატავს დედათა წესის პირველ გამოვლინებასაც, ტკივილსა და განცდებს ცამეტი წლის გოგონაში. ვფიქრობთ, ამით სკოლის ექიმს მიანიშნებს: მის სამუშაო განრიგში გარკვეული ადგილი დაეთმოს როგორც მოზარდ გოგონებთან, ისე მათ მშობლებთან სქესობრივი აღზრდის მიმართულებით მუშაობას.

ნია მოპირდაპირე ფანჯარას ხშირად უყურებს, – იქნებ თვალი მოჰკრას.

„დაიმახსოვრე – ჩაგჩურჩულებს რაღაც ხმა. დაიმახსოვრე და წამით ისევ შეხედავ, ისევ ჩაგებეჭდება მისი მზერა, მზერა, რომელსაც მოსწონს ის, ვისაც უმზერს. ბედნიერება გადაგირბენს გულზე ჩიტივით. თვალებს ხრი. არის, ასეთი რამ. ასეთი წუთები. შენს გვერდით ზის და გიყურებს. მისი თვალები მხოლოდ შენით არიან დაკავებულნი. ახლა მხოლოდ შენ ხარ მათში. მხოლოდ შენ და სხვა არავინ და არაფერი.

შემოხედვაც შეხებაა. თვალებით კოცნაა. გრძნობ.

ოდნავ წინ რომ იხრები, მისგან გამომავალი სითბო აღწევს შენამდე...

ასე დიდხანს ვეღარ ისხდებით...გრძნობ ამას.

და უცებ: ზარი! გულის გადაქანება – ისევ დედა მოსულა..“

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გაკვეთილის ფორმით წარმოდგენილი დიდაქტიკური მასალა.

მთლიანი გაკვეთილის შინაარსი:

– აბა, როგორ არის საქმე, ცოდნის წყაროს დაწაფებულნო, რას მეტყვით?

– მე წავიკითხე, რაც გვითხარით, პატივცემულო!

– თქვენ?

– მე ვერ მოვასწარი პატივცემულო!

– ეეჰ! ძალიან მწყინს. კარგი, ვის სურს საუბარი?

– მე თვითონ არა, პატივცემულო, შემეკითხეთ და გიპასუხებთ.

– გეკითხებით, მაია, ხომ? მაია! მაშასადამე, რას ნიშნავს:

შენ მარტო მტოვებ. და ერთადერთი შემიძლია გაგცვალო ასე.

შენ წამი იყავ შეჩერებული და ახლა ისევ შრიალი მავსებს.

ყოველი ჩქამი შენს თავს მაგონებს, შენით არის სამყარო სავსე.

ქარიც შენა ხარ და უკვალო კეთილსურნელიც...

– რას და... აი, როდესაც გიყვარს, შენი შეყვარებულის მეტს ვერავის ვეღარ ხედავ. აღარავინ აღარ გაინტერესებს. მარტო ის გაინტერესებს, რაც შენს შეყვარებულთან კავშირშია და თუ დაგტოვებს, ისე ცუდად გახდები, რომ ვერ გაძლებ, რადგან აღარც შეყვარებული გეყოლება და აღარც არაფერი გექნება, იმიტომ, რომ ყველაფერს შეყვარებულის გამო დაშორდი.

– და რატომ დაშორდი შეყვარებულის გამო ყველაფერს? ყველას და ყველაფერს?

– იმიტომ, რომ შეყვარებული მთელს შენს გონებას იპყრობს. სხვაზე ვერაფერზე და ვერავისზე ვეღარ ფიქრობ. სულ მასზე ფიქრობ. ფიქრობ გაუთავებლად...

– და კარგია მერე ეს?

– პრინციპში ცუდია პატივცემულო, იმიტომ, რომ ეგოიზმი გამოდის... და გამოშტერებულობა, მაგრამ პრინციპში სხვანაირად არ შეგიძლია, ხომ გესმით...

– რა აცინებთ, მასწ?

– მართლაც და რა გაცინებთ? სიყვარულს დასცინით? ყველას შეგიყვარდებათ ვინმე, დიდი იმედი მაქვს... და ეგოიზმიო, რომ ამბობთ, ადამიანს ყველაფერი რომ თავისთვის კი არა, თავისი შეყვარებულისათვის უნდა, სიცოცხლეც რომ შეუძლია გასწიროს მისთვის, – მაინც ეგოიზმია?

– რა ვიცი, პატივცემულო, სხვებზე რომ ვეღარ ფიქრობს, იმიტომ ვამბობ... პროსტო, მაპატიეთ მასწ; მარტო ერთ ადამიანზე ფიქრობს.

– და მერე? როცა მარტო რჩება? როცა ის ადამიანი ტოვებს?

– ჰოდა, მარტო რომ რჩება, აღარაფერი აღარ აქვს. და თუ ყველაფერს თავიდან არ დაუმეგობრდა, უბრალოდ გაგიჟდება, მასწ. აბა უყველაფროდ როგორ უნდა იყოს? და თავიდან ამჩნევს ყველაფერს, ე.ი. მთელ სამყაროს.

– მაგას ნიშნავს „ყოველი ჩქამი შენს თავს მაგონებს, შენითაა სამყარო სავსე!“

– მე მგონი, იმიტომ, რომ როცა შეყვარებული ჰყავდა, როცა ერთად იყვნენ, სხვა არაფერი არ სჭირდებოდა და შეიძლება, ვერც ამჩნევდა. როცა აღარ ჰყავს, ახლა ყველაფერში ის უნდა იპოვოს, ან არადა, დაივიწყოს, ან არადა, მოკვდეს.

– კარგი, მაია, ძალიან სწორად გაგიგიათ. და როდის უფრო მდიდარია ადამიანი? როცა შეყვარებული ჰყავს და სხვაზე ვეღარაფერზე ვეღარ ფიქრობს, თუ როცა ყველაფერში შეყვარებულს ეძებს და პოულობს, მაგალითად, ყვავილში, ღრუბელში, წვიმაში, ზღვაში?

– რა ვიცი, მასწ. მაპატიეთ, ნია შეიძლება მაშინ უფრო გამდიდრდეს, როცა შეყვარებულს დაჰკარგავს და ყველგან და ყველაფერში იმის ძებნას დაიწყებს, შეიძლება ამაზე ძალიან კარგი ლექსები და მუსიკა დაწეროს, ან ძალიან კარგი ნახატი დახატოს, მაგრამ, მე მაინც მერჩივნა, ჩემი შეყვარებული ჩემთან ყოფილიყო, ხომ გესმით?

– ...როგორ არა?...

– პატივცემულო, შეიძლება? გერმანულში რომ არ არის ასე: „შენ წუთი იყავ შეჩერებული, და ახლა ისევ შრიალი მავსებს!“ აქ უფრო მოკლედ არის: „შენ ერთი წუთი ხარ, შემდეგ კი ეს (ალბათ იგულისხმება „ეს წუთი“) შრიალად გადაიქცევა“. და არც ეს: „ქარიც შენა ხარ და უკვალო კეთილსურნელიც“. დედანში უბრალოდ არის: „ან ეგებ ეს სურნელია ნარჩენის ნაშთის გარეშე?“.

და ეს ფრაზა საერთოდ ზედმეტია: „ყოველი ჩქამი შენს თავს მაგონებს, შენითაა სამყარო სავსე.“

– გმადლობ, ნიკა! ყოჩაღ, რომ გიშრომიათ და შეგიდარებიათ! საქმე ის არის, რომ ნათქვამი გასაგები უნდა იყოს ლოგიკურად, ან ემოციურად. ხშირად, რაც დედანში გასაგებია, თარგმანში ზუსტად ისე რომ დატოვო, ნამდვილი უაზრობა გამოვა. ამიტომ უნდა გაშალო ან დააზუსტო ნაგულისხმევი აზრი, მაგრამ ისე, რომ ავტორის პოეტიკა, მისი მსოფლმხედველობა, არ შელახო, მის ფარგლებში უნდა დარჩე.

– მე ყველაზე მეტად სწორედ ეგ სტრიქონი მომწონს: „ყოველი ჩქამი შენს თავს მაგონებს, შენითაა სამყარო სავსე“.

– და რატომ მოგწონთ მაია?

– რა ვიცი, პატივცემულო, ვერ აგიხსნით...

– ბოლო სტრიქონებზე რას მეტყვით გიორგი?

– მე არ ვეთანხმები პატივცემულო. რა გამოდის, ვისაც მოეხვევი, აუცილებელია დაშორდე მერე?

– თქვენც ასე გესმით ეს სტრიქონები ზურა?

„მე ყველა ქალი დამკარგვია, შემოვაჭდე ვისაც მკლავები,
მხოლოდ შენ ერთი ისევ და ისევ დაიბადები,
რადგან არასდროს შეგაჩერე,
ხარ განუყრელი“.

– ასე გესმით?

– დიახ. აბა როგორ უნდა გავიგო პატივცემულო?

– სხვები რას ფიქრობთ?

– ეს მისი, ე.ი. პოეტის გამოცდილებაა, მასწავლებელო. და არც რაღაც სავალდებულო წესი და კანონი. თანაც „შემოვაჭდე ვისაც მკლავები“ იმას კი არ ნიშნავს, რომ ერთხელ მოეხვია, არამედ იმას, რომ ეს ქალი მას ეკუთვნოდა, ერთად იყვნენ ფიზიკურად. და მერე, როცა წავიდა, პოეტმა არ შეაჩერა, არ მოინდომა მისი შენარჩუნება...

– ანუ, მისი ნების დათრგუნვა, არა?

– ...დიახ... თავისუფლება მიანიჭა...

– სწორია, მაია...თქვენ ზუსტად მიჰყვებით ამ პოეტის გრძნობებს...და რატომღაა განუყრელი?

– ალბათ იმიტომ, რომ როცა შეყვარებულები ერთად არიან, მერე... დაქორწინდებიან, მერე ხან იჩხუბებენ, ხან შერიგდებიან, გაჩნდება ათასი პრობლემა და სიყვარული კვდება... და როცა შორიდან გიყვარს, არ გეკუთვნის ფიზიკურად და ვეღარც დაჰკარგავ...

– და რას ნიშნავს: „ისევ და ისევ დაიბადები“ ან: „ყოველთვის თავიდან დაიბადები“ ე.ი. ისევ და ისევ თავიდან გაახსენდება, პატივცემულო!

– ჰო. ისევ და ისევ თავიდან... ალბათ რაღაც ინტერვალებით... და იმ ინტერვალებში შეიძლება საერთოდ აღარ ახსოვდეს ხოლმე... მაგრამ ის ისევ დაბრუნდება... იმიტომ, რომ აღუსრულებელი სურვილი ისეთივე ძლიერია, როგორც ძვირფასი გარდაცვლილი... „გამახსენდები, გამეხსნება ნაიარევი“...როგორც ერთ სხვა ლექსშია...

ნია კი დიდი ხანია ეძებს თავის სიყვარულს. რამდენი ხანია აღარ გამოჩენილა ფანჯარაში. ვერ პოულობს. რაღა ახლა მოგვცა გერმანულის მასწავლებელმა წასაკითხად შილერის „ვერაგობა და სიყვარული“... რა ვერაგი და მოღალატე ყოფილა მათ ოჯახში მცხოვრები ახლობელი, 20 წლის ცისანა და ახლა მასზე იწყებს ფიქრსა და ეჭვიანობას...

„ღმერთო, ღმერთო, ყველა უჯრედის კაპილარისა და მოლეკულის მპყრობელო! რამდენი უძლური კანკალი გადმოგეცემა ალბათ. ეს ცახცახიც შენში დარჩება, რადგან აბა სად უნდა წავიდეს? და გაქრობით, როგორ უნდა გაქრეს? ეს ყველაზე უენო და ხმამაღალი მეტყველება, ზღვრული ენა. შენთან მომიჯნავე, რადგან შენ თურმე სიყვარული ხარ. და თუ ასეა, ალბათ ცახცახიც ხარ, ანუ თრთოლა, რადგან სიყვარული გაბმული თრთოლა ყოფილა.“ და მართლაც ხომ თავად სიყვარულია ღმერთი..

* * *

ნათელა ნატროშვილი, კერძო სკოლის „კრწანისი-მარჯი“ დირექტორი, პედაგოგიკის დოქტორი: *„ღრმად ალბათ ვერ ჩავწვდები ქ-ნ ნაირა გელაშვილის ნაფიქრალსა და ნააზრევს, ერთი კი დაბეჯითებით უნდა ითქვას: ეს არის საუკეთესო დიდაქტიკური საშუალება როგორც პედაგოგებისთვის, ისე მშობლებისთვის, მოზარდი გოგონების აღზრდის ზნეობრივ-ფიზიოლოგიურ საკითხებში გასარკვევად, რათა გოგონებს პასუხი ჰქონდეთ კითხვებზე: რა არის სიყვარული? სიყვარულს სწავლა უნდა? რატომ იღლება სიყვარული?*

ვფიქრობთ, მშობლებსაც გავაცნოთ ეს დიდაქტიკური მასალა, რათა დაფიქრდნენ, რა შეცდომებს უშვებენ შეყვარებულ შვილებთან ურთიერთობაში.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დიდაქტიკურმა საშუალებამ ჩემი პირველი სიყვარული გამახსენა“.

ლიკა გვენცაძე, კერძო სკოლის „კრწანისი-მარჯი“ ქიმიის მასწავლებელი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი: *„გაოცებული დავრჩი ნაირა გელაშვილის ნაწარმოების „მე ის ვარ“ მიხედვით წარმოდგენილი დიდაქტიკური მასალით. ეს არის პროზის, პოეზიის, ფსიქოლოგიისა და რაც მთავარია, პედაგოგიკის შერწყმისა და შეთავსების საუკეთესო ნიმუში.*

მადლობას ვუხდი ქ-ნ ნაირას სიყვარულის თემაზე წარმოდგენილი გაკვეთილისთვის, პოეზიის იმ ნიმუშების გახსენებისთვის, რომელმაც დამაფიქრა.

რას იზამ ნია, ვისაც უყვარს, ის იტანჯება. მთავარი ის არის, მე, როგორც დედამ და მასწავლებელმა, შეგიმსუბუქო პირველი სიყვარულით გამოწვეული განცდები და ტკივილები...“

ლუიზა ირემაშვილი
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

საუბრები ლიტერატურაზე

მშვენიერებით შთაგონებული მხატვრული სამყარო

ტიციან ტაბიძის „ანანურთან“

შტრიხები თამუნია წერეთლის პორტრეტისთვის

მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების თბილისს უმშვენიერესი თამუნია წერეთელი ხიბლსა და შთაგონებას მატებდა. აკაკი წერეთლის ნათლული საჩხერელი თავად ბეჟან წერეთლისა და ნიცა ბაგრატიონ-დავითაშვილის ქალიშვილი იყო. კატო ნიკოლაძის (ცნობილი ქუთაისელი მეცენატი ქალი) მიერ მოწყობილ საღამოებზე თამუნია, თავისი სახელოვანი ნათლიის ლექსების კითხვით, ყველას აღაფრთოვანებდა. თამუნია და დედამისი ეკონომიკურად უკიდურესად შეჭირვებული იყვნენ, თუმცა ერთმა ბედნიერმა შემთხვევამ ამ მშვენიერი ქალიშვილის ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. მეწარმე ქებაძემ რუსთაველის პროსპექტზე მინერალური წყლების მაღაზია გახსნა და კონკურსის წესით მოლარედ სამი უმშვენიერესი ქალიშვილი შეარჩია. მათ თავიანთი სილამაზით უნდა მიეზიდათ მომხმარებლები. კონკურსში, რა თქმა უნდა, გაიმარჯვა თამუნია წერეთელმა. უფრო მისი სილამაზის სანახავად მოდიოდა თბილისის ბომონდი, რათა საკუთარი თვალით ეხილა ხორცშესხმული გრაციოზულობა და სინატიფე, რომელთანაც ორგანულად შერწყმულიყო სათნოება, ტალანტი და სინაზე.

რუსთაველის პროსპექტი ცისფერყანწელთა უსაყვარლესი ადგილი იყო. აქ ფეთქავდა მაშინდელი თბილისის გული. იმდროინდელი მწერლები (პაოლო, ტიციანი, ვალერიანი და სხვ.) ქმნიდნენ მაშინდელი ქალაქის მორალურ-კულტურულ „ამინდს“, მოდას (დენდებივით დადიოდნენ), გემოვნებას...

1925 წლის ზაფხულის ულამაზესი დღეა... ჩიტების ჭიკჭიკი აყრუებს თბილისს. ტიციანი („გულისპირს ებნია წითელი მიხაკი“ – შოთა ნიშნიანიძე), თავის მეგობრებთან ერთად, მინერალური წყლების ახალგახსნილ მაღაზიაში შედის... ხედავს მოღიმარ ქალწულს და ფეხქვეშ მიწა ეცლება, არ სჯერა, რომ ხორცშესხმულ, მიწიერ ადამიანს ხედავს პირისპირ...

– ქალიშვილო, ვიცნობდეთ, მე ტიციანი ვარ... პოეტი... ორპირის ფშანზე გაზრდილი... მიყვარს სამშობლო, ამიტომაც სიკვდილამდე გამაწვალებს ქართული მზე და ქართული მიწა... დღეიდან ვეტრფი თქვენს ქართულ მშვენიერებას. ამ დღემ ჩემი მომავალი განსაზღვრა; დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და თქვენი სიყვარულის მედგას უღელი...

– მე თამუნია წერეთელი ვარ... ძალიან მიყვარს პოეზია, – დაბნეულად და მორცხვად უპასუხა თამუნიამ, – დიდი მგოსნის ნათლული ვარ!

– თქვენ ჩემი მარადიული მუზა იქნებით დღეიდან. ნამდვილი თამარი ხართ, ვრუბელის თამარივით იდუმალი, მშვენიერი...

თამუნიამ დაირცხვინა, თვალებს ვერ უსწორებდა ჯიქურად მოვარდნილ მამაკაცურ სტიქიას. სიტყვებს ეძებდა, ლამაზად უნდოდა ეპასუხა, თუმცა მაინც შესაფერისად ვერ უპასუხა.

– გმადლობთ, რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– არც კი ვიცი, თუმცა, როგორ არ ვიცი, – არეულად უპასუხა ტიციანმა, – რომ არსებობთ, ეს უკვე ყველაფერია ჩემთვის.

ტიციანს დაავიწყდა, რისთვის შევიდა, დაავიწყდა, რომ მისი გული სხვას ეკუთვნოდა, ან იქნებ, არც დაავიწყდა... მისთვის, როგორც მეწყერისგან წალეკილი პოეტისთვის, მუზისა და შთაგონების გარეშე ყოფნას აზრი დაეკარგებოდა; ტიციანის ემოცია ბროწეულის ყვავილივით გადავსებულიყო. ქვებზე გარჩენილი კალმახივით ლაყუჩებახეულმა იცოდა, რომ დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა, მაგრამ ბედნიერი იყო, როგორც არასდროს... თვითონაც არ იცოდა, რა უხაროდა.

...რამდენიმე წელში (1928წ.) თამუნია წერეთელი იურისტ ნიკოლოზ კახიძეზე დაქორწინდა. ეს ღირსეული ქართველი კაცი ქართული სატირული თეატრის დამაარსებელი და მთავარი რეჟისორი იყო. მათი ოჯახური ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. თამუნია წერეთლისთვის „საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი“ (კოლაუ ნადირაძე). 1929 წლის 16 მარტს (თამუნიას დაბადების დღეს), ქალიშვილის გაჩენიდან რანდენიმე დღეში, თამუნია „ფეხმოტეხილი ღრუბელი“ გახდა, მას ფეხი მოაჭრეს... ურთულესი პერიოდი დადგა მის ცხოვრებაში. საწოლს მიჯაჭვული სიცოცხლე გოგონას ტიციანმა გაუღამაზა 1937 წლამდე. 1929 წლით თარიღდება ლექსი, რომელიც ამ ტრაგიკულ შემთხვევას მიუძღვნა პოეტმა.

გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი, და ახეული მაქვს ლაყუჩები...

„ტიციანს უყვარდა მიხაკი გულზე შებნეული. ეს მთელმა თბილისმა იცოდა. ზოგმა შეიძლება გვარიც კი არ იცოდა მისი, მაგრამ იცნობდა მიხაკიან პოეტს. მიხაკი იყო ტიციანის პოეტური ღერბი, მისი ალამი“ (გიორგი ლეონიძის მოგონებებიდან). წითელი მიხაკი „საჩინო“ გული იყო პოეტისა, სხვათათვის დასანახავი. თუკი უყვარდა, მართლა უყვარდა; თუკი ხუმრობდა, ყველას იყოლიებდა; თავდაუზოგავი, უანგარო მეგობარი, მეუღლე, მამა იყო ტიციანი. არაორდინალური, აპრილის თვეში დაბადებული, ორპირის მკვიდრი, ლექსებს თეთრი ყვავილების წვიმასავით აყრიდა თავზე თბილისს. იმდროინდელ „უნდობარ ხანში“ (გალაკტიონი) ჩახმახშეყენებული სიცოცხლით ცხოვრობდა, წერდა, უყვარდა, იცინოდა, ტიროდა, ცხოვრობდა, როგორც პოეტს შეჰფერის... „ჟამი მეფისტოფელისა“ (გალაკტიონი) ყველას სისხლიანი თვალებით შესცქეროდა, არც ტიციანი დაინდო, სადღაც, თოვლიან მხარეში, გააქრო მისი სიცოცხლე. „ქვებზე გარჩენილ კალმახს“ საფლავიც კი არ აღირსა „კოჭლმა დროებამ“ (შექსპირი). ლექსის ბოლოს ტიციანი წერს:

„ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი
და თვითმკვლელობის იავნანური.“

8 წლით ადრე იწინასწარმეტყველა პოეტმა თავისი მომავალი, თითქოს გამოემშვიდობა ცხოვრებას და პოეტური ძილისპირული უსურვა თავისსავე შემოქმედებას რეაბილიტაციამდე, გამონათებამდე, ბნელის ნათლით შეცვლამდე. დიდი ხნით ადრე იცოდა ტიციანმა, რომ ფეხზე შეყენებულ ჩახმახს უსიკვდილოდ „ვერ გადურჩებოდა“.

ორიოდე სიტყვით ვრუბელის თამარსა და დემონის ფრთებზე

მიხეილ ვრუბელის „თამარი“

„არცერთ ერს არ შესძლებია ჩვენებრ რელიგიის გაშუქება პოეზიის ოპტიკით. ქართველობა ისე ვიდოდა იესოს სისხლიან კვალზე, რომ, ამავე დროს, დიონისოს ყვავილიან შუბლს თვალს არ აშორებდა“ (გამსახურდია კონსტანტინე, 1986: 106). გასათვალისწინებელია, რომ პოეზიაში დემონი მხოლოდ დაცემულ ანგელოზს არ ნიშნავს. მაგ., ბაჩანა ბრეგვაძე „სოკრატეს აპოლოგიის“ კომენტარში აღნიშნავს: *„დემონი („დაიმონ“) – იგულისხმება სოკრატეს სულში დამკვიდრებული ზებუნებრივი ღვთაებრივი ძალა თუ სინდისის იდუმალი, მბრძანებლური ხმა, რომელიც, სოკრატეს მოწმობით, დროდადრო ერთგვარი შთაგონებით ავსებდა და ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ქცევის წესსა თუ მოქმედების გეზს უჩვენებდა მას“* (ბრეგვაძე 1997:243).

როცა ტიციანი წერს: *„ისე ნაზია ეს მოგონება, / როგორც დემონის ფრთების შეხება“*, ვფიქრობთ, გულისხმობს იმას, რომ სიყვარული მისი მასულდგმულებელი და შთაგონების წყაროა, ურომლისოდაც ის, როგორც შემოქმედი, ვერ იარსებებს. წერეთლის ქალისადმი მიძღვნილ ლექსში მიწიერი ვნება შთაგონებითაა ჩანაცვლებული, აქ სულთა ინტიმია და არა ხორციელი ტრფობით გაბრუებული კაცის აგონია. ეს პლატონური სიყვარულია, რომელსაც სიძვასთან საერთო არაფერი აქვს. ტიციანი მშვენიერების ლექსით შემმკობია და არა ლამაზი ქალის სიყვარულით გახელებული აშიკი.

1891 წელს ძალზე ნიჭიერ, თუმცა ართუ ისე ცნობილ მხატვარ მიხეილ ვრუბელს ლერმონტოვის „დემონის“ ილუსტრაციების შექმნა შესთავაზეს. ის მანამდეც იყო გატაცებული დემონის თემით. ვრუბელს, შეთავაზებამდე, შექმნილი ჰქონდა ტილო „ჩამომჯდარი დემონი“, თუმცა, ლერმონტოვის ილუსტრაციებზე მუშაობამ მისი შემოქმედებითი ფანტაზია გაცილებით გააფართოვა. ტიციანი გატაცებული იყო ვრუბელის შემოქმედებით. შემთხვევით, რითმის მელოდიურობისთვის არ წერს ტიციანი:

„არც კი გიცნობდი, არც კი მენახე,
ისე გხატავდი თამარს **ვრუბელი,**
ხარ დანგრეული შენ მოდი-ნახე,
ფეხმოტეხილი შენ ხარ **ღრუბელი.**“

ვრუბელის თამარივითაა ტიციანის თამუნია წერეთელი ხელშეუხებელი, გამოუცნობი, პოეტური, კეთილისა და ბოროტის შემკრებ-გამფანტავი. ვრუბელის თამარივით, ისიც ფანტაზიის ნაყოფია და არაფერი აქვს საერთო მიწიერ სილამაზესა და ვნებასთან.

მაინც რატომ დაარქვა პოეტმა ლექსს „ანანურთან“? ანანური ის ადგილია, სადაც სიკვდილ-სიცოცხლე თანაარსებობენ, ერთმანეთს ხელს არ უშლიან. აქ შესაძლებელია ყველაფერი, რაც ამაღლებულთანაა წილნაყარი. აქ ღვთის სახლია, სიყვარულის საუფლოა. საინტერესოა ისიც, რომ ანანურის ტაძარს ადგილობრივნი „მკურნალს“ ეძახიან. როგორც ეკლესიაა მარადიული, ისე თამუნია წერეთელიც მარადქალურობის სიმბოლოა.

ლექსში შთამბეჭდავი მეტაფორებია, როგორებიცაა: „დანგრეული მოდი-ნახე“ (საწერეთლოს საგვარეულოს კუთვნილება), „ფეხმოტეხილი ღრუბელი“ (თამუნია წერეთლის უკიდურესად ტრავმული მდგომარეობა), „ქვებზე გარჩენილი კალმახი“ (დინების საწინააღმდეგოდ, არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებული სული), „ახეული ლაყუჩები“ (სიკვდილისწინა, აგონიური მდგომარეობა), „ფეხზე შემართული ჩახმახი“ (გარდაუვალი სიკვდილი) და სხვ.

მაია მენთეშაშვილი
სსიპ - ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. გამსახურდია 1986: გამსახურდია კონსტანტინე, „ტრაღედიის დაბადება მისტიკის სულიდან. ფრაგმენტები, მოზაიკები, კრიტიკა და შემოქმედება, ახალი ევროპა, ლიტერატურული პროზა“, ქართული ლიტერატურული ესსე, 1986;
2. ბრეგვაძე 1997: ბრეგვაძე ბაჩანა, პლატონი, ადრეული დიალოგები, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა, თბილისი, 1997;
3. მთვარელიძე 2002: მთვარელიძე მურად (ფრაგმენტები წიგნიდან „ფეხმოტეხილი ღრუბლის ლეგენდა“), ქართველი მწერლები სკოლაში, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ტ. 8, თბილისი, 2002;
4. ტაბიძე 2007: ტაბიძე ტიციან, ლექსი „ანანურთან“, წიგნში100 ლექსი, ცისფერყანწელები, გამომც. „ინტელექტი“, თბ., 2007.

სასკოლო აქტივობა

მოსწავლეთა თვალით დანახული ფერადი სამყარო

ზაფხულის პირველი დღე – პირველი ივნისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა, რომელსაც მთელი მსოფლიო აღნიშნავს და მათ შორის არც საქართველოა გამონაკლისი.

სწორედ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **თამრიკო ფიჩხულაშვილი**), ესთეტიკური კათედრის ორგანიზებით (ხელმძღვანელი – **ნათია როსტომაშვილი**, წევრები: **ნათია წყარუაშვილი, მაკა ეუაშვილი, ანა გულდამაშვილი**), დაწყებითი კლასის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, რომლის მიზანია მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარის გამომუშავება, მხატვრული გემოვნების განვითარება, მათი გატაცებებისათვის სწორი მიმართულების მიცემა და რაც მთავარია, სახვითი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების აღმოჩენა და წახალისება.

თითოეულმა მოსწავლემ, თავის ნამუშევარში, ასახა მისი თვალით დანახული თავისუფალი, ლაღი და ფერადი სამყარო. გამოფენამ დამთვალიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მე-2 კლასის მოსწავლის **ზვიად ბაბლუანის** ნამუშევრებმა (დამრიგებელი – **მაკა ეუაშვილი**).

პოზიტიური, კეთილი და მოსიყვარულე პატარა შემოქმედი, ზვიად ბაბლუანი, თავის ემოციებსა და ფიქრებს ძერწვის საშუალებით გადმოგვცემს. მას ძალიან უყვარს პლასტილინით ძერწვა და რასაც აკეთებს, იმაში მთელი გული და ენერგია აქვს ჩაქსოვილი. ნამუშევრების დიდი ნაწილი სწავლის პერიოდში შექმნა. ზვიოს დედა, ქალბატონი სოფო ამბობს, რომ თამაშის ნაცვლად ურჩევნია საათობით პლასტილინით სხვადასხვა ფიგურები გამოძერწოს. თავის სამყაროში ცხოვრობს, არ უყვარს ბევრი ლაპარაკი და ბედნიერია, როცა საყვარელ ფიგურებს ძერწავს.

ესთეტიკურმა კათედრამ გზა დაულოცა ამ პატარა, ძალიან ნიჭიერ მოსწავლეს, წარმატებები და შემოქმედებითად განვითარება უსურვა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მომავალშიც მოეწყობა. მარაბდის საჯარო სკოლა კიდევ მრავალი სხვადასხვა პროექტის განხორციელებას გეგმავს.

ანა გულდამაშვილი
მარაბდის საჯარო სკოლის მასწავლებელი

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6.50 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესასრულებელი სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**. **კალენდარს ახლავს** შესასრულებელი გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

სიახლე

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა

წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“

წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 17.70ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე



ერთი ტომის ფასი – 9 ლარი

თემატური ენციკლოპედია „რა არის რა“

- ქიმია
- მეცნიერებები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- კრიმინალისტიკა
- არქიტექტურა
- ევროპა
- უძველესი ადამიანი
- მეკობრეები
- ჯანსაღი კვება
- ამინდი
- ოლიმპიური თამაშები

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)



4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

ბიოლოგია (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი



9 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK